საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 22 იანვარი. 2020 წ. №11 (8937) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

შეშლილი მსოფლიო

ირანს მელანია ტრამპის დაქვრივება 3 მილიონი დოლარი უღირს!

ირანის პარლამენტის დეპუტატმა აჰმად ჰამზემ აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მკვლელობისთვის ჯილდოს დაწესების შესახებ განაცხადა. ამის შესახებ ირანული სააგენტო ISNA იტყობინება.

„პროვინცია კერმანის ხალხის სახელით 3 მილიონ დოლარს გადავუხდით მას, ვინც ტრამპს მოკლავს“, — განაცხადა ჰამზემ.

მან არ დააზუსტა, მონაწილეობენ თუ არა ამ ინიციატივაში ირანის სასულიერო პირები. კერმანი გენერალ ყასემ სოლეიმანის სამშობლოა, რომელიც ტრამპის ბრძანებით 3 იანვარს მოკლეს. ამერიკის პრეზიდენტმა სოლეიმანის ტერორისტი უწოდა, ირანმა კი გენერლის მკვლელობისთვის შურისძიების პირობა დადო. 8 იანვარს ირანმა ერაყში აშშ-ის ბაზებზე სარაკეტო იერიში განახორციელა.

ეს ირანის მხრიდან ტრამპის მკვლელობისთვის დაწესებული პირველი ჯილდო არ არის. რამდენიმე კვირის წინ ბრიტანულმა გამოცემამ The Mirror გაავრცელა ინფორმაცია, რომ 80 მლნ დოლარს სთავაზობენ მას, ვინც ტრამპს მოკლავს.

დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ოფიციალურად გაიხსნა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობს.

მთავრობის მეთაური ფორუმის გახსნის ოფიციალურ ცერემონიას დაესწრო, რომელზეც სიტყვით გამოვიდნენ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებელი, პროფესორი კლაუს შვაბი, შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტი სიმონეტა სომარუგა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი. დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ერთ-ერთი მთავარი თემა წელს კლიმატის ცვლილებებია.

დავოსის ყოველწლიურ ეკონომიკურ ფორუმში, რომელიც წელს 50 წლის იუბილეს აღნიშნავს, მსოფლიოს არაერთი ქვეყნის ლიდერი მონაწილეობს. საქართველოს დელეგაციას ფორუმზე პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, შვეიცარიაში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში გიორგი გახარია 30-მდე მაღალი დონის შეხვედრას გამართავს, მათ შორის როგორც პოლიტიკურ ლიდერებთან, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უმსხვილესი კომპანიების ხელმძღვანელებთან.

მახეში სამარცხვინოდ გაბმული კონგრესმენი მარკ-უეინ მალინი!!!

5

ალეკო ელისაშვილის და დავით ქიქინაძის ბინძურ ჭორებს არ აჰყვეთ!

3

თეა წულუკიანი: მჯერა, „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს 2020 წლის არჩევნებში და გაგრძელდება ჰუმანური პოლიტიკა სასჯელაღსრულების სისტემაში

6

სალომე ზურაბიშვილის სამუშაო ვიზიტი ისრაელში

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ქალაქ იერუსალიმში მსოფლიო ლიდერებთან ერთად ჰოლოკოსტის მე-5 მსოფლიო ფორუმს დაესწრება.

საქართველოს პრეზიდენტს აეროპორტში დახვდნენ ისრაელის მთავრობის მდივანი ცახი ბრავერმანი, სოციალურ საქმეთა მინისტრი გილა გამლიელი, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორი იუვალ როტემი, ისრაელის სახელმწიფო პროტოკოლის ხელმძღვანელი მერონ რეუვენი, საქართველოს ელჩი ისრაელის სახელმწიფოში ლაშა ჟვანია.

ისრაელში დაგეგმილი სამუშაო ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი შეხვედრებს გამართავს ისრაელის პრეზიდენტთან რუვენ რივლინთან, ჩრდილოეთ მაკედონიის პრეზიდენტთან, კანადის გენერალ-გუბერნატორთან და ფორუმში მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის ლიდერთან.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, ამერიკული საერთაშორისო ორგანიზაცია „სიონის მეგობრები“, რომელიც 70 მილიონზე მეტ წევრს აერთიანებს, საქართველოს პრეზიდენტს, როგორც საქართველოს სახელმწიფო მეთაურს, ქართველი ხალხის მხრიდან ებრაელებისა და ისრაელის სახელმწიფოსადმი მეგობრობისა და თანადგომისათვის „სიონის მეგობართა ორგანიზაციის“ უმაღლეს ჯილდოს გადასცემს. ორგანიზაციის ჯილდოები, რომლის პირველი თავმჯდომარე ისრაელის პრეზიდენტი შიმონ პერესი იყო, მიღებული აქვთ აშშ-ის პრეზიდენტებს ჯორჯ ბუშს, დონალდ ტრამპსა და მსოფლიოს რამდენიმე ლიდერს.

საქართველო-ბულგარეთი: თანამშრომლობის გაღრმავების გზები ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროში

საქართველოსა და ბულგარეთს შორის თანამშრომლობის მდიდარი პოტენციალი არსებობს, განსაკუთრებით ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროში და მის სრულად ათვისებას შავი ზღვის რეგიონის სამეზობლოსთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება, — ამის შესახებ საქართველოსა და ბულგარეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრების შეხვედრისას აღინიშნა, რომელიც დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გაიმართა.

საქართველოს პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, გიორგი გახარიამ და ბოიკო ბორისოვმა დადებითად შეაფასეს საბორნე სერვისები საქართველოსა და ბულგარეთის პორტებს შორის და ხაზი გაუსვეს არსებული სატრანსპორტო კავშირების გაფართოების საჭიროებას. ნაყოფიერად შეფასდა ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობები.

შრომლობას. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველო ევრობანკის ინვესტიციების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ბენეფიციარია, მისი დივერსიფიცირებული პორტფოლიო კი, ენერგეტიკის სექტორიდან სოფლის მეურნეობამდე, ქვეყანას განვითარების მნიშვნელოვან შესაძლებლობებს აძლევს.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, საუბრისას ხაზი გაესვა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის როლს ეროვნული ენერგოეფექტურობის სტრატეგიის შექმნაში, ასევე განსაკუთრებულ წვლილს განათლების სექტორში, რამდენადაც აღნიშნული სფეროს რეფორმა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

ევრობანკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი კმაყოფილია...

საქართველო არის საუკეთესო ქვეყანა ეკონომიკური რეფორმების მეორე ტალღის მქონე ქვეყნებს შორის, ძალიან მოგვწონს რეფორმები და მათი უწყვეტი მიმდინარეობა, — ამის შესახებ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა იურგენ რიგტერინქმა პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასთან შეხვედრისას განაცხადა. შეხვედრის შესახებ ინფორმაცია და განცხადებები საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურმა გაავრცელა. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტებს იურგნ რიტგერინქსა და ალან პილოუს საქართველოს მთავრობის მეთაური დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში შეხვდა.

გიორგი გახარიას შეფასებით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქართველოს განვითარების დღის წესრიგის ძლიერი მხარდამჭერია და მთავრობა აფასებს მასთან ნაყოფიერ თანამ-

რუსეთის მიერ ფრენების აღდგენის კონკრეტული თარიღი არ დასახელებულა, თუმცა ახალი ინფორმაციის მოლოდინი არსებობს



ამის შესახებ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ საქართველოს პირველ არხთან განაცხადა.

მისი თქმით, საკითხზე ახალი ინფორმაცია შესაძლოა, რუსეთის წარმომადგენელ გრიგორი კარასინთან მორიგ შეხვედრაზე გამოიკვეთოს, რომელიც სავარაუდოდ, მარტის დასაწყისში გაიმართება.

„ჩვენ გვქონდა წინა შეხვედრა პრაღის ფორმატში, ნოემბრის ბოლოს. მაშინ მოვისმინეთ, რომ ამაზე ფიქრობენ, მაგრამ ზუსტი თარიღები არ დასახელებულა. შემდეგ გაკეთდა კომენტარები. მოვისმინეთ, რომ მუშაობენ ამ საკითხზე და ა.შ. თუ იქნება უფრო კონკრეტული ინფორმაცია, მოვისმენთ და გაგიზიარებთ. ადრეც ვთქვით, რომ თუ მოხდება ფრენების აღდგენა, ჩვენ ამას მივესალმებით. დაველოდოთ, მარტამდეც თუ იქნება სიახლე, ამასაც გავიგებთ. გავიმეორებ, რომ ფრენების აღდგენის კონკრეტული თარიღები ჯერ არ დასახელებულა, თუმცა არის მოლოდინი, რომ შეიძლება, ახალი ინფორმაციები იყოს. თუ იქნება სიახლე, შეიძლება, ეს გავიგოთ პრაღის შეხვედრაზე, ან მანამდეც“, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ. როგორც მან აღნიშნა, თუ ფრენების განახლებაზე პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღება, ტექნიკური თვალსაზრისით ამ საკითხის მოგვარება პრობლემას არ წარმოადგენს.

ნათია თურნავა: ოკუპაციის ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობას მძიმე ყოფას შეუმსუბუქებთ

ოკუპაცია არის ჩვენი ნომერ პირველი გამოწვევა და სატკივარი, ისეთივე, როგორც სიღარიბე, მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ ადამიანებს მდგომარეობა შეუმსუბუქოს.

„ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა მაქსიმალურად შეუმსუბუქოს ოკუპაციის ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობას ისედაც მძიმე ყოფა, რომელიც გამოწვეულია საოკუპაციო რეჟიმის დესტრუქციული ქმედებით. მათ შორის არის სოციალური დახმარება, მათ შორის ენერგეტიკაში ვაკეთებთ თანადაფინანსებას მოხმარებული ელექტროენერგიის, გაზის მიერთების საფასურის და ხორციელდება მრავალი სხვა ღონისძიება, ასევე პროგრამა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“. მაქსიმალურად ვცდილობთ, მოსახლეობა იყოს ჩვენი ყურადღების ცენტრში“, — განაცხადა ნათია თურნავამ.

განსაკუთრებული სიმწვავით უნდა დაისვას ე.წ. ბორდერიზაციის საკითხი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს ტოივო კლაარს შეხვდა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი მდგომარეობა და ბოლო დროს საოკუპაციო ხაზზე განვითარებული მოვლენები.

„ტოივო კლაართან შეხვედრისას გვქონდა ძალიან დეტალური საუბარი ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. მკაფიოდ დავაფიქსირე საქართველოს პოზიცია იმ არაკანონიერ საოკუპაციო პროცესებთან მიმართებაში, რაც არის დაკავშირებული ე.წ. ბორდერიზაციასთან. ევროკავშირის წარმომადგენელს, რომელიც არის ერთ-ერთი მთავარი აქტორი ჟენევის პროცესში, მივმართე, რომ ეს საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით იყოს დაყენებული, მათ ორმხრივ დიალოგში რუსეთის ფედერაციასთან, ასევე საოკუპაციო რეჟიმებთან კომუნიკაციის დროს“, — აღნიშნა ზალკალიანმა შეხვედრის შემდეგ.

თემურ ბასილია: კაზინოების ინკოგნიტო ბარათი უკვე, პრაქტიკულად ფულის გათეთრებაა!

„კაზინოების ინკოგნიტო ბარათები სერიოზულ საფრთხეს წარმოშობს ფულის გათეთრების თვალსაზრისით და ამიტომაც, მისი გამოყენება დაუშვებლად მიმაჩნია“! — ამის შესახებ „კომერსანტს“ აშშ-ში მცხოვრებმა ფინანსისტმა, აშშ-ის საგადასახადო სამსახურის მიერ ლიცენზირებულმა ექსპერტმა **თემურ ბასილიამ** განუცხადა. მისი ინფორმაციით, ეს ეხება არა მხოლოდ კაზინოსთან დაკავშირებულ ბარათებს, არამედ ყველა სფეროს.

როგორც ბასილია აცხადებს, აღნიშნული საკითხით, პირველ რიგში, ეროვნული ბანკი უნდა დაინტერესდეს, რადგან საკრედიტო-სადებეტო ბარათები მარეგულირებლის კომპეტენციაა. ამასთან, ფულის გათეთრების სამსახურიც ეროვნული ბანკის დაქვემდებარებაშია.

„რა თქმა უნდა, არც ფინანსთა სამინისტრო უნდა იყოს განზე და შინაგან საქმეთა სამინისტრო, მაგრამ წამყვანი მაინც ეროვნული ბანკი და ფულის გათეთრების სამსახური უნდა იყოს. ინკოგნიტო ბარათი უკვე პრაქტიკულად ფულის გათეთრებაა. ეს არის ინკოგნიტო ბარათების გამოყენების მიზანი. ამ დროს ფულს ათეთრებს კაზინოც და ის პიროვნებაც ვინც იყენებს ამ ინკოგნიტო ბარათს ... იმ სახელმწიფო უწყებებმა, ვისაც ევალება ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა (ეროვნული ბანკი, ფულის გათეთრების წინააღმდეგ სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტრო) უნდა უზრუნველყონ კანონის დაცვა“, — აღნიშნავს ბასილია.

მისი განცხადებით, აშშ-ში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ამიტომაც, ამ ქვეყანაში ანგარიშსწორება და ფულად გადარიცხვებთან დაკავშირებული ოპერაციები მკაცრად რეგულირდება.

როგორც ბასილია განმარტავს, რა თქმა უნდა, საკრედიტო ბარათების გამოშვების უფლება არა მხოლოდ ბანკებს, კერძო კომპანიებსაც აქვთ, მაგრამ ეს ექვემდებარება სახელმწიფოს მკაცრ კონტროლს. არავითარი ინკოგნიტო ბარათები, რომლითაც შესაძლებელი იქნება ფინანსური ანგარიშწორება, აშშ-ში არ არის, მათ შორის არც კაზინოში.

„კაზინოში ფულით ვერ ითამაშებ: იქ არის სხვადასხვა ღირებულების სპეციალური ჟეტონები/მონეტები, რომლებსაც ყიდულობ და მხოლოდ მისი მეშვეობით შეგიძლია თამაში. თუ მოიგებ, მოგებული მონეტები მიგაქვს სალაროში სადაც გადაგიცვლიან მას ნაღდ ფულში. რაც მთავარია, თუ მოგება აღემატება დაწესებულ თანხას, კაზინო ავტომატურად გიქვითავს მოგების 25%-ს, რომელსაც შენს სახელზე იხდის ფედერალურ ბიუჯეტში. ამის დასადასტურებლად კაზინო გაძლევს სპეციალურ ფორმას W2-G, რომლის ერთ ასლსაც უგზავნის საგადასახადო სამსახურს. წლის ბოლოს კი, პიროვნება ვალდებულია, კაზინოში მიღებული მოგება ასახოს წლიურ დეკლარაციაში“, — აცხადებს ბასილია.

შეგახსენებთ, „კომერსანტი“ ახლახან წერდა, რომ სათამაშო ბიზნესი თავისი წესებით თამაშობს და იმ მომხმარებლებს, რომლებსაც კომერციული ბანკების გვერდის ავლით საკუთარი ანგარიშის კონტროლი სურთ, გამოსავალს სთავაზობს.

გამოსავალი კი ინკოგნიტო პლასტიკური ბარათებია, რომელიც სამორინეებმა შექმნეს. ექსპერტების მოსაზრებით, ეს არის გზა, რომელიც კიდევ უფრო მეტ ადამიანს აქცევს ჭარბვალიანად, გაართულებს მომხმარებლების ფინანსური მდგომარეობის ანალიზს და გაზრდის საბანკო რისკებს.

სოფო ქსოვრელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს ვაკანსიებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად შემდეგ სპეციალობებში:

სპეციალობა	ვაკანსია
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	
ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა	1
ფილოსოფია, პოლიტოლოგია	1
დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	
გეოლოგია	1
საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება	
მართვის ინფორმაციული ტექნოლოგიები	1
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	
ტყის განახლება და ეკოლოგია	1

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მოღვაწე მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, რომელსაც საერთაშორისო დონის წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერების განვითარებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდიდატთა წამოყენების უფლება აქვთ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო საზოგადოებებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატთა მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი საბუთები (ორ ეგზემპლარად): სამეცნიერო საბჭოს, აკადემიის წევრის (წევრების) წარდგინება სათანადო დასაბუთებით, დამოწმებული წარმდგენის ხელმოწერითა და იმ დაწესებულების ბეჭდით, სადაც იგი მუშაობს, კანდიდატის ავტობიოგრაფია, ფოტო 4/6, სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი, მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV), ძირითადი სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები აღინიშნება ვარსკვლავით), დარგის სპეციალისტის მიერ კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება (დოკუმენტები წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი).

კანდიდატის პირადობის მოწმობის ასლი, ცნობა სამუშაო ადგილიდან საქართველოში მისი მოღვაწეობის დასადასტურებლად.

საბუთები კანდიდატთა რეგისტრაციისათვის იგზავნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. განცხადებები მიიღება 2020 წლის 11 თებერვლის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: რუსთაველის გამზ., 52, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (კადრების სამმართველო, IV სართული, ოთახი 409, ტელ. 2 93-29-86). საბუთები მიიღება ყოველ სამუშაო დღეს 11-დან 17 საათამდე.

აღნიშნული განცხადება და კანდიდატის მონაცემები (CV) განთავსდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვებგვერდზე (**www.science.org.ge**), რისთვისაც წარმოდგენილ უნდა იქნეს CV-ის ელექტრონული ვერსიაც.

შენიშვნა: დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კადრების სამმართველოში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი
გიორგი კვესიტაძე,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი
რამაზ ხუროძე.

თამარ გაბუნია: მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა არსებულ ხარვეზებს აღმოფხვრის

ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე თამარ გაბუნია აცხადებს, რომ მედიკამენტებით უზრუნველყოფის ინტეგრირებული პროგრამა არსებულ ხარვეზებს აღმოფხვრის. მისი თქმით, ინტეგრირებული მოდელის პირობებში, მედიკამენტი უფრო მეტი სააფთიაქო წერტილიდან გაიცემა, ვიდრე დღეს არის. თამარ გაბუნიამ გუშინ „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლის ზურაბ ჭიაბერაშვილის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების პროგრამა თავიდან 20 მილიონი ლარის ღირებულებით დაიგეგმა, წელს კი 10 მლნ ლარია განსაზღვრული.

„ძალიან დიდი ნაკადი მოვიდა აგვისტოსექტემბერში. შემდეგ ეს ეტაპობრივად შემცირდა, თუმცა ცნობილია, რომ ზოგიერთი მედიკამენტი უბრალოდ გამოილია და დეფიციტური გახდა ბაზარზე. მიმდინარე ხარვეზების ერთხელ და სამუდამოდ მოგვარებისთვის პროგრამის მექანიზმი შეიცვალა და დღეს ჩვენ უკვე ვსაუბრობთ საყოველთაო ხელმისაწვდომობის“ პროგრამაში ინტეგრირებულ მექანიზმზე.

ალეკო ელისაშვილის და დავით ჭიჭინაძის ბინძურ ჭორებს არ აჰყვეთ!

ხომ არ არის **კახა კალაძისა** და **ბიძინა ივანიშვილის** დაპირისპირება ხელოვნურად შემოგდებული თემა? თუ ნამდვილად ემზადება კახა კალაძე ოპოზიციაში გადასაბარგებლად?!

მოვლენები, რომლებიც ბოლო პერიოდში ვითარდება, იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ მავანნი ცდილობენ, კალაძესა და ბიძინა ივანიშვილს შორის ეჭვმა დაისადგუროს. კალაძე-ივანიშვილს შორის უფსკრულს აღრმავებს „ენ-დი-აი“-ს კვლევაც, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკოსებიდან დადებითი დამოკიდებულება საზოგადოებას კალაძის მიმართ აქვს; ამას ემატება მოარული ჭორიც, რომ თბილისის მერის გარემოცვის დაჭერები დაიწყება და კალაძე თადარიგს აქედანვე იჭერს. კერძოდ, კალაძემ თურმე ოპოზიციას შეუთვალა, რომ საჭირო დროს დაუპირისპირდება ივანიშვილს და მის ჩამოგდებაში დაეხმარება.

მოძრაობა „ტრიბუნას“ დამფუძნებელი **დავით ჭიჭინაძე** არ გამორიცხავს, ივანიშვილმა „ოცნება“ დაკარგოს და კალაძე სადავეების აღებას შეეცადოს. ჭიჭინაძის აზრით, ივანიშვილი უნდა დაფიქრდეს, რამდენად ხიფათის შემცველია დღეს მისთვის გენმდივანი კახა კალაძე. მით უმეტეს, რომ „ქართული ოცნების“ დეპუტატთა დიდ ნაწილს მორალი არ გააჩნია, ისინი ყოველთვის გრძნობენ, ვის ამოეფარონ, შესაბამისად, სხვა ბანაკშიც უმარტივესად გადაბარგდებიან.

რას აპირებს კახა კალაძე და შეუძლია თუ არა პრობლემებს ბიძინა ივანიშვილს?

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** აცხადებს, რომ კალაძესთან დაკავშირებით ანეკდოტური სიტუაციაა და ელისაშვილის ბინძურ ჭორს არავითარი საფუძველი არ აქვს. დეზინფორმაციის ავტორებმა გარკვეული ხმაური გამოიწვიეს ამით, მაგრამ კალაძისა და ივანიშვილის ურთიერთობაში ბზარს ასე იოლად ვერ შეიტანენ.

„რაღაც თქვა ელისაშვილმა, ჟურნალისტებმა მაშინვე მოსთხოვეს კომენტარი ამაზე კალაძეს, არადა, სრულიად სხვა სიტუაციაში იმყოფებოდა მაშინ კალაძე, საბავშვო ბაღს ხსნიდა. იმდენად წვრილმანი ბოროტებაა ეს, რომ სერიოზულ პრობლემას არ გამოიწვევს, უბრალოდ, გამაოგნებელია უტიფრობა, ჭორების გავრცელება, მით უმეტეს, როცა წყაროსაც არ ასახელებს ელისაშვილი. როგორ წარმოგიდგენიათ, კალაძე ადგეს, მოწინააღმდეგეს დაურეკოს და შესთავაზოს, მე თქვენკენ ვარო? ასეთი რამ არ ხდება. ისიც ჭორია, რომ ივანიშვილი „ოცნებას“ დაკარგავს და სადავეებს ხელში კალაძე აიღებს. მავანთ ძალიან უნდათ, ასე მოხდეს, მაგრამ, ჩემი ინფორმაციით, მსგავსი არაფერი იგეგმება. თანაც, ამ წინასაარჩევნოდ ასეთი განხეთქილება არადამაჯერებელია. დღეს-დღეობით ბიძინაც და კალაძეც ერთ გემში არიან, პოლიტიკა მუდმივი რისკია, ორივე მათგანი ყველაზე მეტს რისკავს. „ოცნების“ გუნდიდან თუკი ვინმეს რამე აქვს გასარისკი, ყველაზე მეტად კალაძესა და ივანიშვილს, რადგან მათი წვლილი „ქართული ოცნების“ შექმნაში გადამწყვეტია. გასაგებია, ბიძინა ივანიშვილის წვლილი უფრო მეტია, მაგრამ არც კალაძის წვლილია ნაკლები – პირადი მაგალითი, მატერიალური წვლილი, დროის ხარჯვა, ნერვები, ძალისხმევა ამ ორი ადამიანის ზურგზეა გადასული“, – აცხადებს დავით ზარდიაშვილი და ვერ წარმოუდგენია, ივანიშვილმა და კალაძემ საქმე შუაში შეწყვიტონ და გაუგებარი ნაბიჯები გადადგან, რაც რამდენჯერმე გაზრდის თითოეული მათგანის რისკს.

დავით ზარდიაშვილის აზრით, კალაძე და ივანიშვილი ერთმანეთს რომ დაუპირისპირდნენ, ეს ნიშნავს, რომ „ოცნების“ საქმე დაღუპულია. ასევე, დაღუპული იქნება ცალკე კალაძისა და ცალკე ივანიშვილის საქმეებიც. ასეთი რამ ერთ დღეში არ ხდება, საამისო წინაპირობები უნდა არსებობდეს. განხეთქილების მოსურნეებს სურთ, მთავრობას შეუქმნას პრობლემები, მთავრობამ დაკარგოს ივანიშვილის ნდობა, ან, პირიქით, ივანიშვილმა დაკარგოს მთავრობის ნდობა. თუმცა მათი მიზანი უსუსურია. ზუსტად ეს არის დღევანდელი ქართული ვითარების სახასიათო ნიშანი, როცა არაფრის გამო იქმნება ხმაური.



პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ, სანამ ივანიშვილს ენდომება, რომ იგი იყოს „ოცნებაში“, ის იქნება კიდეც „ოცნებაში“ და ვერანაირი კალაძე მას ვერ ჩანაცვლებს. ერთდერთი ვარიანტი, კალაძემ ჩანაცვლოს ივანიშვილი, არის ის, თუ ივანიშვილს თავად სურს ამის გაკეთება.

„გარკვეული პარალელიც გავავლე შევარდნაძე-სააკაშვილსა და ივანიშვილ-კალაძეს შორის, მაგრამ შევარდნაძე-სააკაშვილის შემთხვევაში, კიდევ სხვა ვითარება იყო. თუ ივანიშვილი გადაწყვეტს, ოდესმე ვიღაცამ ჩაანაცვლოს, რა თქმა უნდა, მას შეუძლია შექმნას გარკვეული პოლიტიკური თამაშები, დაახლოებით ისეთი, რაც განხორციელდა სააკაშვილ-შევარდნაძის პირობებში. ჯერჯერობით ამ თამაშების პირი არ ჩანს, ხვალ რა იქნება, ვერ გეტყვით. თუ ივანიშვილის რეიტინგი იმდენად დაეცა და არჩევნების შემდეგ კრიზისული ვითარება შეიქმნა, მაშინ მას შეიძლება, დასჭირდეს ძალიან ძლიერი „ოპოზიციური“ პარტია, რომელსაც „ქართული ოცნება“ წარმოშობს, ისევე, როგორც „მოქალაქეთა კავშირმა“ წარმოშვა „ნაცმოძრაობა“. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება „ქართულ ოცნებას“ დასჭირდეს კალაძე.

ზოგადად, კახა კალაძის შესახებ შეიძლია გითხრათ, რომ ის გამორჩეული ფიგურაა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს პარტიულ ფუნქციას ასრულებს და არის გენერალური მდივანი, ძირითადად მაინც გადართულია თბილისზე“, – აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

მისივე განმარტებით, გასაგებია, რომ გადათხრილი თბილისი ცუდად მუშაობს ადამიანებზე და ეს პრობლემა აწუხებს ხალხს, მაგრამ შინაგანად ყველამ იცის, რომ სხვაგვარად ვერ მოეწყობა ინფრასტრუქტურა და ქუჩის გადათხრის გარეშე კომუნიკაციები ვერ შეიცვლება. პოლიტოლოგის მოსაზრებით, კალაძემ შექმნა ისეთი გარემო, რომ დედაქალაქში რაღაც კეთდება. კილომეტრაჟითა და კვადრატული მეტრებით რომ გადავთვალოთ, შესაძლოა, წინა მერს ნაკლები არ ჰქონდეს გაკეთებული, მაგრამ ნარმანიამ ისეთი გარემო ვერ შექმნა, რომ თბილისში რაღაც კეთდება. კალაძემ კი ეს შექმნა და ნაძვის ხე შესაძლოა, ვიღაცას არ მოსწონდეს, მაგრამ ვერავინ ვერ უარყოფს, რომ ქალაქი ძალიან კარგად იყო გაფორმებული.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ძველი მთავარი პროკურორი მზად არის, ახალი გენერალური პროკურორი გახდეს. ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ თავად ირაკლი შოთაძესთან შეთანხმებით წარადგინა მისი კანდიდატურა, რადგან იგი ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მაღალკვალიფიციური იურისტია, „რომლის ლექციებზეც ანშლაგია“. უკვე ცნობილია, რომ დასახელებული 17 კანდიდატიდან შოთაძე ერთადერთია, რომლის კანდიდატურასაც უმრავლესობის მხრიდან მხარდაჭერა ექნება.

რამდენად პროდუქტიული იქნება ირაკლი შოთაძე უღიმღამოდ მიჩნეული თადუმაძისგან განსხვავებით?! ამის შესახებ For.ge-ს უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი ესაუბრა.

„ირაკლი შოთაძის დროს როგელი იყო პოლიტიკურად დევნილი – ვანო მერაბიშვილი, დათა ახალაია თუ ბაჩო ახალაია?!“

– მმართველი გუნდი კომპლიმენტებს არ იშურებს ირაკლი შოთაძის მიმართ, მაგრამ უკვე კეთდება შეფასებები, რომ შოთაძის დაბრუნებით ფარცხალაძის კლანი ბრუნდება და ეს ყველაფერი უჩა მამაცაშვილისა და იმ კლანის ინტერესებშია, რომლებიც ჩვენს ეკონომიკას ლობირებენ. რა მოიტანა შოთაძის პირველმა მთავარმა პროკურორობამ და რას მოიტანს ის უკვე მეორედ, თუკი ის დაბრუნდება გენპროკურორის პოსტზე?

– ირაკლი შოთაძის მთავარ პროკურორობას უარყოფითად ვერ შევაფასებ, მე არ მაქვს არც იმის საბუთები, რომ მამაცაშვილი, ფარცხალაძე, ან ვინმე სხვა ზეგავლენას ახდენს მასზე. რა თქმა უნდა, ასეთი შეფასებები მოსმენილი მაქვს, მაგრამ ამის დამადასტურებელი დოკუმენტი არ მინახავს. ამიტომ ყველაფერს დასაბუთება სჭირდება. როდესაც შოთაძე პროკურატურას მართავდა, გაცილებით უფრო ეფექტურიც იყო და კვალიფიციურიც, ვიდრე თადუმაძის პერიოდში. თადუმაძე რომ შეუფერებელი კანდიდატურა აღმოჩნდა მთავარი პროკურორის თანამდებობაზე, ეს თადუმაძის გადაწყვეტილებამაც დაადასტურა, რომ წელიწადნახევარზე მეტი ვერ გაძლო ამ პოსტზე. ამიტომ შოთაძის პერსპექტიულ დაბრუნებას ამ პოსტზე მე არ ვუყურებ პესიმისტურად. ვფიქრობ, ის ისევ შეეცდება, კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით განახორციელოს თავისი საქმიანობა. მე, როგორც ადვოკატს, კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით მაინც მაქვს პრეტენზიები კონკრეტული პროკურორების მიმართ, მაგრამ იმასაც ვხედავ, რომ, ზოგადად, პროკურატურაში მისი მმართველობის დროს დაიწყო კანონისადმი მორჩილების პროცესი. რაც შეეხება ფარცხალაძის კლანს, პირიქით, შოთაძის დროს დაიწყო ფარცხალაძის სისხლის სამართლებრივი დევნა. ის, რომ შოთაძე ბიძინა ივანიშვილის ნდობით აღჭურვილი პირია, ესეც ფაქტია.

– ლევან გოგიჩაიშვილის აზრით, წესიერი გენპროკურორი პროკურატურაში დაიბარებდა უჩა მამაცაშვილსა და ვანო ჩხარტიშვილს, რაც არ გაუკეთებია ირაკლი შოთაძეს თავისი პირველი მთავარი პროკურორობის პერიოდში.

– თუ არსებობს კონკრეტული ფაქტები, მაშინ პროკურატურაში უნდა დაიბარონ შესაბამისი პირები. არაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ კონკრეტული ფაქტებია ამისთვის საჭირო. ძალიან ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო რამეებსაც ამბობენ.

– „ნაცმოძრაობა“ შიშობს, რომ ირაკლი შოთაძის ხელში პოლიტიკური რეპრესიები გაძლიერდება. თქვენ როგორ ფიქრობთ?

– პოლიტიკური რეპრესიები როდის იყო შოთაძის პერიოდში? ჯერ ერთი, „ნაციონალები“ ასევე ლანძღავდნენ თადუმაძეს, ლანძღავდნენ შოთაძის წინამორბედსაც. როდესაც ლაპარაკია, რომ ოპოზიციისთვის არავინ მისაღები არ არის, ეს პოლიტიკურად მესმის, მაგრამ ოპოზიციამ ხომ უნდა წარმოადგინოს თუნდაც ერთი კანდიდატურა მაინც და თქვას, არ გვინდა ირაკლი შოთაძე, ვიღაც იქს პიროვნებაა ჩვენთვის მისაღები და დაუყენონ ის კანდიდატურა შოთაძეს პირისპირ, რომ ეს მას სჯობს. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება, კონკურენცია, შეიძლება, საზოგადოებამ იმსჯელოს სხვა კანდიდატურაზეც. შეიძლება, სხვა კანდიდატურა ვერც გასულიყო, მაგრამ ფაქტი მაინც იქნებოდა, რომ უკეთესი კანიდატურა არსებობდა.

– ლოგიკური კითხვა ჩნდება, ნუთუ ისეთი კანდიდატურა არ არსებობს, რომ გამუდმებით ადეიშვილისა და კეზერაშვილის კადრებში არ ვეძებოთ მთავარი პროკურორი?

– მესმის, დიდი ნაკლია ადეიშვილისა და კეზერაშვილის პერიოდში იმ სისტემაში მუშაობა, თუმცა ასე რომ მივყვეთ, სააკაშვილი და მისი გუნდის დიდი ნაწილი იყვნენ შევარდნაძის გუნდის წევრები, მაშინ მათ საერთოდ არ გამოეყოფათ თავი, რადგან შევარდნაძე თვითონვე დაამხეს. შოთაძის დროს პოლიტიკურ დევნაზე არ ყოფილა ლაპარაკი. რომელი იყო პოლიტიკურად დევნილი – ვანო მერაბიშვილი, დათა ახალაია, ბაჩო ახალაია, თუ თუნდაც უგულავა, რომელმაც აღიარა დანაშაული? მერაბიშვილს ხომ საერთოდ 25-წლიანი პატიმრობა შეეფარდა და, ახალი კანონის მიხედვით, შეკრებითობის თანახმად, მას სულ 5 წელი დარჩა მოსახდელი. მათ მიმართ სამართალი აღსრულდა. ძალიან ბევრს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა აქვს, რომ სრულად არ აღსრულდა სამართალი, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, კანონის ჩარჩოებში ჩაჯდა პროკურატურა.

მთავარი პროკურორობის მსურველ კანდიდატურებს შორის ზოგი არასერიოზულია, ზოგი, პირდაპირ ვიტყვი, კომიკურია. თუკი არ არის წამოყენებული უფრო ღირსეული კანდიდატი, მაშინ საიდან უნდა შევარჩიოთ უკეთესი კანდიდატი?

– თქვენ ხედავთ ღირსეული მთავარი პროკურორის რესურსს, რომელიც არც ბიძინა ივანიშვილის დირექტივებს შეასრულებს, არც, სიტყვაზე, ადეიშვილის? თუ მთავარი პროკურორობა მაინც დაქვემდებარებული ინსტიტუტია, რომელიც ყოველი მოქმედი ხელისუფალის ნებას ემორჩილება?

– ასეთი ღირსეული კადრი, ალბათ, არსებობს, მაგრამ ჩვენს დღევანდელ პირობებში შეუძლებელია ნებისმიერმა პოლიტიკურმა ძალამ შეარჩიოს ასეთი კადრი. როგორ წარმოგიდგენიათ, რომელიმე პოლიტიკური ძალა მისთვის მიუღებელ კადრს შეარჩევს? თუ იქნებოდა კოალიციური მმართველობა და რამდენიმე პარტიას განაწილებული ექნებოდა ბერკეტები, მაშინ ისინი შეარჩევდნენ მათთვის მისაღებ, ან შედარებით ნაკლებად დაქვემდებარებულ კანდიდატურას. თორემ მთავარი პროკურორი მეტ-ნაკლებად დაექვემდებარება პოლიტიკურ ნებას.

– მუხთარლის, მაჩალიკაშვილის, ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის და სხვა საქმეების არასწორი გამოძიება ითვლება ირაკლი შოთაძის „დივიდენდებად“, რომ არაფერი ვთქვათ, უამრავ გამოუძიებელ საქმეზე. მას ბრალად სდებენ იმასაც, რომ იგი „ნაცმოძრაობას“ ასამართლებს, მაგრამ მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით ვერ ავლენს გულმოდგინებას.

– ხორავას საქმეს რაც შეეხება, რა მტკიცებულებებიც არსებობდა იმ პერიოდში, იმ მტკიცებულებებით დაიწყო გამოძიება, სხვა მტკიცებულებით ვერ წავიდოდა და, როდესაც გამოჩნდა სხვა მტკიცებულება, მერე შეიცვალა ბრალდების ტექსტი და მოცემულობა. „რუსთავი-2“-ისა და მამალაძის საქმეები იყო ყველაზე გახმაურებული. „რუსთავი-2“-ის საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ თქვა, რომ ყველაფერი კანონის დაცვით მიმდინარეობდა. დარწმუნებული ვარ, სტრასბურგის სასამართლო მამალაძის საქმის შესახებაც იმავეს იტყვის და ბევრი დრო არ დარჩა აქამდე. ასევე იქნება მაჩალიკაშვილის საქმეზეც, რადგან ამ საქმეზე იმისთანა მტკიცებულებები და ჩანაწერები იქნა წარდგენილი, რომ ეს ადამიანი იყო მიჩნეული პოტენციურ ტერორისტად, რამდენად რეალურია ეს, რამდენად არა, ეს სხვა საქმეა, მაგრამ ამის მეათედი მტკიცებულებები რომ ჰქონოდათ ამერიკელებს, არ დაფიქრდებოდნენ, ისე ჩაატარებდნენ ასეთ ოპერაციას.

– ეს, ალბათ, არ გულისხმობს, რომ საწოლში მოკლან ახალგაზრდა.

– რა თქმა უნდა, არ გულისხმობს, მაგრამ შეეშალათ თუ არა, ესეც გასარკვევია. სხვა საქმეა, შეიძლება, იქ რაღაც მოეჩვენათ, შესაძლოა, ყუმბარაც მოეჩვენათ, ან არ მოეჩვენათ, ამასაც დამტკიცება უნდა. მუხთარლის საქმე კი ძალიან დიდი ლაქაა, ამ საქმის გამოძიება ნამდვილად ეხებოდა შოთაძის პროკურატურას და გამოძიება ბოლომდე იყო მისაყვანი. ესეც პოლიტიკას უკავშირდება და, როცა სამართალი ასე გადაეჯაჭვება პოლიტიკას, სამწუხაროდ, ასეთი ჩავარდნები ხდება ხოლმე! რა თქმა უნდა, ეს არ უნდა ხდებოდეს.

– ამ ჯერზე რას ურჩევდით ირაკლი შოთაძეს? მას ბოლომდე აქვს მისაყვანი ის საქმეები, რომელთა სამართლიან გამოძიებასაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან დაჰპირდა მოსახლეობას და, რომლებიც თაროზეა შემოდებული?

– რა თქმა უნდა, ყველა საქმე, რაც გამოსაძიებელია, უნდა გამოიძიონ. შოთაძე იქნება თუ სხვა ვინმე, პროკურატურას ეს ევალება, სხვა არაფერი, ამით ფასდება პროკურატურის მუშაობა.

ანაკლიაში პორტის მშენებელმა კომპანიამ ტერიტორიიდან სამშენებლო ტექნიკის გაყვანა დაიწყო

ამის შესახებ ინფორმაცია „ქრონიკას“, როგორც ანაკლიის განვითარების სააგენტოში, ისე კონსორციუმშიც დაუდასტურეს. საგენტოს ცნობით, იმის გამო, რომ სახელმწიფოსა და ანაკლიის განვითარების კონსორციუმს შორის ხელშეკრულება შეწყდა, კომპანია „ვანო ორდს“ ტერიტორიიდან ტექნიკა უნდა გაეყვანა. კომპანიას ტექნიკის გასაყვანად და ტერიტორიის სრულად დასატოვებლად ვადა 30 იანვრამდე აქვს. 9 იანვარს ცნობილი გახდა, რომ მთავრობა „ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან“ ხელშეკრულებას წყვეტს და პორტის ასაშენებლად ახალ ინვესტორს მოიძიებს.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა 2017 წლის დეკემბერში დაიწყო. პორტის პირველი ფაზის მშენებლობის დასრულება და პირველი გემების მიღება 2020 წლის ბოლოსთვის იგეგმებოდა.

მახეში სამარცხვინოდ გაბმული კონგრესმენი მარკ უეინ მალინი!!!

ლიზა გეგეჭკორი: ამერიკელი კონგრესმენის ღია წერილი და დიდი გაურკვევლობა

„ამერიკელი კონგრესმენი რესპუბლიკელი მარკვეინ მალინი, გარდა რიგი კომპანიებისა თუ პიროვნებებისა, წლებია, ლობირებს ამერიკული ნავთობისა და გაზის მომპოვებელი კომპანია „Frontera Resources“-ს, — ამბობს „POSTV“-ის „მედიარენტგენის“ ავტორი და წამყვანი ლიზა გეგეჭკორი.

„მედიარენტგენმა“ გაარკვია, რომ ნავთობისა და გაზის საერთაშორისო კომპანია 1996 წელს აშშ-ში დაარსდა და მისი მიზანია აღმოსავლეთ ევროპაში გაზისა და ნავთობის მოპოვება. საქართველოში საქმიანობა 1997 წლიდან დაიწყო. კომპანია კვლევა-ძიებისა და მოპოვებით სამუშაოებს აღმოსავლეთ საქართველოში, მე-12 სალიცენზიო ბლოკზე აწარმოებს. საქართველოში საქმიანობისთვის „Frontera Resource“-მა 1997 წლის 7 აგვისტოს შპს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯია“ დააარსა. კომპანიის 50%-ს აშშ-ში რეგისტრირებული „Frontera Resource“ ფლობს, 50%-ს კი — „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“.

„1997 წლიდან დღემდე „Frontera Resource“-მა არაერთხელ გამოაცხადა, რომ საქართველოში გაზის დიდ მარაგს მიაგნო. 2015 წლის 8 ოქტომბერს კომპანიამ კიდევ ერთხელ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს კახეთში 3.8 ტრილიონი კუბური მეტრის მოცულობის გაზის მარაგი აღმოაჩინა. ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოში რესურსების მოპოვების შესახებ წლიური ანგარიშის პრეზენტაციაზე კომპანიის წარმომადგენელი არ იმყოფებოდა. სააგენტოს საიტზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, პრეზენტაციაზე დამსწრეებმა აღნიშნეს, რომ „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ რესურსების მოპოვებასთან დაკავშირებით მკაფიო ხედვა და სამუშაო გეგმა არ გააჩნია.

1997 წლიდან დღემდე, „Frontera Resources“ არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს მასშტაბითაც აცხადებდა, რომ გაზის დიდ მარაგებს პოულობდნენ. თუმცა, ამოღებული გაზის რაოდენობა არასოდეს ემთხვეოდა კომპანიის მიერ გამოცხადებული რესურსის ოდენობას. 2015 წელს „Frontera Resources“-ის შემოსავალმა ნედლი ნავთობისა და გაზის მოპოვებით 3,7 მილიონ დოლარს მიაღწია, ხოლო ზარალი 20,5 მილიონი დოლარი იყო.

კომპანიის კრიტიკოსების მოსაზრებით, „Frontera Resources“ ცდილობს, თავი აარიდოს 30-მილიონდოლარიან ვალს, რომელიც მან პირველ აგვისტომდე უნდა გადაიხადოს. კომპანია „Frontera Resources“-ის განცხადებით კი ვალებზე პასუხისმგებელი მათი შვილობილი კომპანია „Frontera Resources Holding LLC“-ია. ეს უკანასკნელი 2011 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებშია რეგისტრირებული და მის 100%-ან წილს თავად „Frontera Resources“ ფლობს.

„გაკოტრების შესახებ“ აშშ-ის კანონმდებლობის მე-7 მუხლის თანახმად, რომელიც კომპანიის სრულ ლიკვიდაციას გულისხმობს, „Frontera Resources Holding LLC“ გაკოტრების შესახებ განაცხადი გააკეთა. „Frontera Resources“-მა შვილობილი კომპანიის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოში სარჩელიც კი შეიტანა.

ენერგეტიკის სფეროს ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ გზით კომპანია ცდილობს, გადასახადებს თავი აარიდოს და ვალები მის შვილობილ კომპანიას გადააწეროს. ბრიტანული გამოცემა proactiveinvestors.uk-ის ანალიტიკოსის აზრით, ის, რომ მენეჯმენტი ასეთი მანევრებით ვალებისგან თავის არიდებას ცდილობს, ან ინტელექტის დეფიციტზე მიანიშნებს, ან მორალურ დეფიციტზე ან ორივეზე ერთად“, — ამბობს „მედიარენტგენის“ წამყვანი.

ლიზა გეგეჭკორი ისხენებს გამოცემა „ტაბულას“ სტატიას, სადაც 2016 წელს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი რომან გოცირიძე „Frontera Resources“-ის ისტორიას უკავშირებს ისტორიას აფერისტ ინჟინერზე, რომელმაც მიწაში მცირე ოდენობით ნავთობი ჩასხა, რაღაც დროით სოფლიდან გაქრა და შემდეგ ყანაში აღმოჩენილ არნახული ოდენობის ნავთობზე ატყუებდა ადგილობრივებს.

> **„სწორედ „ფრონტერას“ აქტიურ ლობისტად გვევლინება კონგრესმენი მარკუეინ მალინი. სულ ცოტა ხნის წინათ მან გახარიას ღია წერილი მისწერა, მთავრობა გააკრიტიკა და აღნიშნულ ტვიტზე, ძვემოთ მიხეილ სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ გამპრავებელი, ე.წ. „მთავარი არხი“ და ტვ „პირველი“ მოიხსენია, ცოტა უცნაური ამბავია, ანუ გამოდის, რომ, სავარაუდოდ, ნაციონალები ვერ გარკვეულან, სად, რა და რატომ არ უნდა წერონ, ან პირიქით, წერონ...“** — ამბობს გეგეჭკორი.

ლიზა გეგეჭკორი ასევე, იხსენებს „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი სატელიტი პარტიის ლეიბორისტული პარტიის ლიდერის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტს, სადაც ნათელაშვილი ღიად ამბობს, რომ მალინთან შეხვედრისას მან კონკრეტული დაპირება მიიღო, რომელიც მთავრობის მიმართ კრიტიკული წერილის გამოგზავნით შეასრულა.

ბექა ნაცვლიშვილი: მარკუეინ მალინი თავს უფლებას აძლევს, ჭკუა ასწავლოს ქართულ სახელმწიფოს

საქართველოს **პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატის ბექა ნაცვლიშვილის განცხადებით, ნებისმიერი პოლიტიკოსი, რომელმაც სიხარულით გაიზიარა კონგრესმენ მალინის განცხადება, ჩვეულებრივი კოლონიური მენტალობის და ცნობიერების ადამიანია.**

ბექა ნაცვლიშვილმა საკუთარი მოსაზრება გამოთქვა, მარკუეინ მალინის ღია წერილთან დაკავშირებით, რომელშიც ამერიკელი კონგრესმენი საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიმართავს.

ნაცვლიშვილის შეფასებით, ამერიკელი კონგრესმენი თავს უფლებას აძლევს, ის კომპანია დაიცვას, რომელიც საქართველოში ადამიანის უფლებებს პირდაპირ არღვევს:

„ვისაც რეალურად აინტერესებს, რა ხდება „ფრონტერას“ საკითხზე, შეუძლია, დედოფლისწყაროში ჩავიდეს. მე-11 თვეა, ხელფასი არ აუღია იქ დასაქმებულებს. ვისაც გული შესტკივა კომპანია „ფრონტერას“ მიმართ, ამ კომპანიის საქმიანობას გადახედოს არამხოლოდ საქართველოში, არამედ საქართველოს საზღვრებს გარეთ და მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ადეკვატური რეაქცია ჰქონდეს. იქ ადამიანებს არც სპეციალჭურვილობა აქვთ, რომლითაც ისინი უნდა მუშაობდნენ და დასაქმებულები უნდა იყვნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, 11 თვის ხელფასი არ აუღიათ და რომელიღაც ამერიკელი პოლიტიკოსი, არ ვიცი რა მოტივაციით, ფული აქვს აღებული თუ გაუთვითცნობიერებელია ამ ვითარებაში, თავს უფლებას აძლევს, რომ ჭკუა ასწავლოს ქართულ სახელმწიფოს, რაც არის ძალიან ცუდი“.

მისივე თქმით, ამერიკელი კონგრესმენი ამ თავისი განცხადებით, იმ კომპანიის უფლებებს იცავს, რომელიც საქართველოში ადამიანის უფლებებს პირდაპირ არღვევს და ექსპლუატაციას ახდენს საქართველოს მოქალაქეების და იქ დასაქმებულებისას.

„ნებისმიერი პოლიტიკოსი, რომელმაც ასე სიხარულით გაიზიარა კონგრესმენ მალინის განცხადება, ჩვეულებრივი კოლონიური მენტალობის და ცნობიერების ადამიანია, რომელსაც ამ ქვეყნის ბედი არავითარ შემთხვევაში ხელში არ უნდა ჩავუგდოთ“, — განაცხადა ნაცვლიშვილმა.

რუსები თურქეთის უძრავ ქონებაზე გაღაერთვნენ



საქართველოში კი ისრაელსა და ევროპის მოქალაქეები გააქტიურდნენ

რუსეთის **მოქალაქეები თურქეთის უძრავი ქონების შემსყიდველთა რიგებში დაწინაურდნენ. ერაყისა და ირანის მოქალაქეებთან ერთად რუსეთი ამ მაჩვენებლით პირველ სამეულშია,** ამის შესახებ სააგენტო RBK თურქული სტატისტიკის ინსტიტუტის მონაცემებზე დაყრდნობით აცხადებს.

2019 წელს რუსებმა თურქეთში 2890 უძრავი ქონება შეიძინეს, რაც 26 პროცენტით მეტია, ვიდრე ერთი წლის წინათ. ამ მაჩვენებლით რუსეთმა საუდის არაბეთის მოქალაქეებს გაუსწრო, რომელთა 2019 წლის შედეგი თურქეთის უძრავ ქონებაში 2200 ტრანზაქციაა და მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. გამოცემა აღნიშნავს, რომ 2015 წლის შემდეგ რუსები პირველად აღმოჩნდენ თურქეთის უძრავი ქონების შემსყიდველთა სამეულში.

ერაყის მოქალაქეებმა 2019 წელს 7600 ხელშეკრულება გაფორმეს თურქეთის უძრავი ქონების ბაზარზე. მეორე ადგილზეა ირანი, რომლის მოქალაქეებმაც 5400 სახლი და ბინა შეიძინეს თურქეთში.

უძრავი ქონების სააგენტო Tolerance Homes-ის დირექტორის სერგეი ვოლჩენკოვის აზრით, რუსების მზარდი ინტერესი თურქეთის უძრავ ქონებასთან ახალ კანონებს უკავშირდება, რომელიც ქვეყანაში უძრავი ქონების შეძენის შემთხვევაში მოქალქეების მიღებას ამარტივებს. კვლევაში ხაზგასმულია, რომ თურქეთის უძრავ ქონებაზე მოთხოვნა თითქმის 2 პროცენტითაა შემცირებული, თუმცა უცხოელები აგრძელებენ აქტიურობას და წელს უძრავი ქონების შესყიდვასთან დაკავშირებული გარიგებების რიცხვი 15 პროცენტით, 46 000-ამდე გაიზარდა.

უცხოელი მყიდველებისთვის ყველაზე საინტერესო სტამბოლისა და ანტალიის საცხოვრებელი ფართები აღმოჩნდა.

რამდენად აქტიურობენ რუსეთის მოქალაქეები ქართული უძრავი ქონების ბაზარზე და რომელი ქვეყნები ინტერესდებოდნენ ბინების შეძენით საქართველოში 2019 წელს, ამ თემაზე „კომერსანტი“ უძრავი ქონების ეროვნული ასოციაციის მმართველი საბჭოს წევრს ვაჟა მებაღიშვილს გაესაუბრა.

უძრავი ქონების ეროვნული ასოციაციის მმართველი საბჭოს წევრი, უძრავი ქონების სააგენტო Noble Real Estate-ის დამფუძნებელი ქართული უძრავი ქონების ბაზარზე რუსების აქტივობის შემცირებას უსვამს ხაზს და აღნიშნავს, რომ ისრაელი, ირანი თუ ევროპული ქვეყნები აქტიურობენ ძველებურად და უძრავი ქონების შეძენისას უპირატესობას ძველი თბილისის უბანს ანიჭებენ.

„წელს საკმაოდ მაღალი იყო მომართვიანობა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისგან საქართველოში უძრავი ქონების შეძენაზე. გამოვყოფდი რამდენიმე აქტიურ ქვეყანას როგორც აღმოსავლეთი ქვეყნებიდან, ისე ევროპიდან, დაინტერესებაა საფრანგეთიდანაც, ისრაელიდანაც, ირანიდანაც, ყატარიდანაც. ძირითადად უცხოელებს ძველი თბილისის ტერიტორია აინტერესებთ.

რაც შეეხება რუსეთის მოქალაქეების აქტიურობას ჩვენი უძრავი ქონების ბაზარზე, წლის ბოლოს ივნისის მოვლენების გამო შემცირებულია. თუმცა, აღნიშნულ პერიოდამდე საკმაოდ აქტიურობდნენ და ძვირადღირებულ აქტივებს იძენდნენ. საკმაოდ მაღალი მოთხოვნაა ზაფხულის პერიოდში ზღვისპირა ქალაქებზე, სხვა დროს — თბილისი, ძველი თბილისი, მთაწმინდა, ვერა, ვაკე და საბურთალო“, — ამბობს ვაჟა მებაღიშვილი.

2019 წლის პირველ ნახევარში უძრავი ქონების ბაზარზე უცხოელი მყიდველების წილი 8% იყო, — ამის შესახებ აღნიშნულია „თიბისი კაპიტალის“ საცხოვრებელი უძრავი ქონების სექტორის განახლებულ კვლევაში. ამავე კვლევის მიხედვით, 2018 წელს ეს მაჩვენებელი 13%-ს შეადგენდა.

მარიამ მორგოშია

თეა წულუკიანი: მჯერა, „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს 2020 წლის არჩევნებში და გაგრძელდება ჰუმანური პოლიტიკა სასჯელაღსრულების სისტემაში

— ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა პარლამენტში, ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაზე გუშინ განაცხადა.

„რა თქმა უნდა, მჯერა, „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს 2020 წლის არჩევნებში. რა თქმა უნდა, გაგრძელდება ის ჰუმანური პოლიტიკა, რაც ჩვენ შევძელით მოგვეტანა პენიტენციურ სისტემაში თითოეული ჩემი წინამორბედი მინისტრის თაოსნობით, დაწყებული ბატონი სუბარიდან, შემდეგ უკვე მე ვცდილობ, გავაგრძელო.

გაგრძელდება პოლიტიკა, მშენებლობები — ჩვენ წელს ჩავუშვებთ და მომდევნო იუსტიციის მინისტრი გააგრძელებს. ჩემი მთავარი მიზანია, რომ მან, ვინც იქნება მინისტრი და ის იქნება „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, შეძლოს, ამას დააშენოს უკეთესი რამ“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

ვიდეოში კარგად ჩანს, როგორ იქცევა ომბუდსმენის წარმომადგენელი საკანში, მონიტორინგისას

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ვიდეო წარადგინა, რომელზეც სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის მიერ საკანში მონიტორინგის პროცესი არის აღბეჭდილი.

იუსტიციის მინისტრმა ამ ფორმით სახალხო დამცველის ანგარიშის იმ ნაწილს უპასუხა, სადაც ე.წ. მაყურებელზეა საუბარი.

„რაც შეეხება იმ საკითხს, რომ შემოდის ახალი პატიმარი და მას უმასპინძლდება ვიღაც პატიმარი ყავით, თუ ჩაით და თქვენი ეჭვით, ეს უნდა იყოს მაყურებელი, მე კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, მითხარით ამ ე.წ. მეჩაიე, თუ მეყავე მაყურებლის გვარი და სახელი, რომ ის დაისაჯოს, მაგრამ თქვენ ალბათ, ამას არ იტყვით, „აიდი ბარათებისა“ არ იყოს, იუსტიციამ დაბეჭდაო და შემდეგ რომ დაიბარეს ამ განცხადების ავტორები, ეს თქვენ არ ბრძანდებოდით? მერე თქვეს — „არ ვიცით, ასე გვითხრეს და“... არ ვიცით, ასე გვითხრეს და კი არა, უნდა თქვათ სახელები და გვარები“, — განაცხადა წულუკიანმა.

ვიდეო, რომელზეც საუბარია, 2019 წელს არის ჩაწერილი ვიდეომეთვალყურეობის სისტემებით აღჭურვილ საკანში.

„ჩვენ ვნახავთ ვიდეოს, როგორ ახორციელებს სახალხო დამცველის წარმომადგენელი მონიტორინგს საკანში. ეს არის საკანი, რომელიც აღჭურვილია ვიდეოთვალით, შესაბამისად, გარდა სველი წერტილისა, პატიმარი არის ვიდეომეთვალყურეობის ქვეშ. სწორედ აქ მიბძრანდება სახალხო დამცველის წარმომადგენელი. ეს ხდება 2019 წელს, ანუ საანგარიშო პერიოდში“, — განაცხადა წულუკიანმა.

სახალხო დამცველის წარმომადგენელი საკანში სვამს პატიმრის მიერ მოდუღებულ ყავას და სარგებლობს მისი სველი წერტილით.

„ეს არის სახალხო დამცველის წარმომადგენელი, რომელიც ორჯერ ადუღებინებს ყავას პატიმარს, მიირთმევს მის შოკოლადს, ეწევა მის სიგარეტს, შემდეგ საკანში პატიმრისთვის განთავსებულ სველ წერტილს მოიხმარს და 4 საათი რჩება ე.წ. მონიტორინგის რეჟიმში. მე არ ვამბობ, რომ ეს არის მასიური შემთხვევები, მაგრამ ის, რასაც ჩემს თანამშრომლებს საყვედურობთ, არც ის არის მასიური შემთხვევები. თუმცა, მე მაქვს პრეტენზია, ვიყო ობიექტური და განვაცხადო, რომ ეს არის სავალალო მაგალითი იმისა, თუ როგორ ხორციელდება ვითომ მონიტორინგი“, — განაცხადა წულუკიანმა.

„მოდით, ვიყოთ ობიექტური და ასეთ თანამშრომლებს ნულარ გამოგვიგზავნით, რომელსაც სხვათაშორის, დახეული ჯინსი აცვია. როცა თქვენ მე მსაყვედურობთ, რომ გეგუთში თანამშრომელს ფორმა არ ეცვა და ვერ განასხვავებ პატიმრისგანო, ამ ვიდეოში მიჭირს განვასხვავო, ისრით რომ არ იყოს მონიშნული, ვინ არის პატიმარი და ვინ არის სახელმწიფო ინსტიტუტის წარმომადგენელი...

ჩვენ ამ ტრიბუნიდან მოვისმინეთ სიმართლეც, ჭორებიც, არაპროფესიონალიზმიც

— ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე გუშინ განაცხადა, სადაც მანამდე სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიას უსმენდნენ ციხეებში „მაყურებლების“ არსებობის თაობაზე.

ის არ იზიარებს ანგარიშში მითითებულ შენიშვნებს, ამბობს, რომ „კანონიერი ქურდის“ სტატუსით ქართულ პენიტერციალურ სისტემაში მხოლოდ ერთი პატიმარი იმყოფება, რომელიც ამას წინათ „ძლივს გადაარჩინეს“, რადგან გულის მნიშვნელოვანი პრობლემები ჰქონდა. რაც შეეხებათ „მაყურებლებს“, თითოეული პატიმარი, რომელიც სხვა პატიმრებზე კონტროლის დამყარებაშია შემჩნეული, უწყება აფასებს რისკებს და შემდეგ მსგავსი პატიმრები გადაჰყავთ სხვა დაწესებულებებში.

მისივე თქმით, ანგარიში გადაეგზავნა პროკურატურას და მან სახალხო დამცველს მოუწოდა, ითანამშრომლოს საგამოძიებო უწყებასთან და დაასახელოს კონკრეტული გვარები. მან შენიშვნა მისცა ომბუდსმენს, რომ პროგრესზე არაფერია ნათქვამი და ამასთან, თქვა, რომ სახალხო დამცველი პატიმრებთან არ დადის.

„თქვენს წინაშეა სახალხო დამცველი, რომელიც მესამე წელი დაიწყო, რაც ასრულებს თავის ფუნქციას. ეს არის სახალხო დამცველი, რომელიც პატიმრებთან არ დადის“, — აღნიშნა წულუკიანმა.

2018 წელს ნინო ლომჯარია სულ ოთხჯერ იყო საპატიმროში, გასულ წელს კი საერთოდ არ ყოფილა.

„მან სამკურნალო დაწესებულებაში ინახულა ერთი პატიმარი, რომლის გვარი და სახელი ფართო საზოგადოებისთვის არაფერს ამბობს. შემდეგ მოინახულა ნომერი მე-7 დაწესებულება, რომელიც იყო ცარიელი, გახსნამდე, ანუ პატიმრები არ უნახავს. შემდეგ 2018 წლის აგვისტოში ის ეწვია ნომერ მე-9 დაწესებულებაში ბატონ გიორგი მამალაძეს. ოქტომბერში გლდანის დაწესებულებაში მან მოინახულა ბატონი მირზა სუბელიანი. ეს არის სულ 2018 წელს.

2019 წელს ქალბატონი ნინოს ჩვენთან მობრძანების და პატიმრებისთვის ხელის ჩამორთმევის რიცხვი არის ნული. 2020 წელს, გამომდინარე პოლიტიკური აჟიოტაჟიდან, რომელიც მიმდინარეობდა ქალბატონი პრეზიდენტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ქალბატონმა ნინომ შობის მეორე დღეს მოინახულა გიორგი მამალაძე.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისი მოადგილე არ არის სუპერ აქტიური, ჩვენ მისგან ძალიან ბევრ რჩევას ვიღებთ ხოლმე, ძირითადად გენერალური დირექტორის სპეციალური პენიტენციური სამსახურის. მან ჩვენსავით კარგად იცის, თუ ჩვენსავით კარგად არა. ამასთან, მიახლოებულად იცის თითოეული პენიტენციური დაწესებულება, გამოწვევები, პრობლემები. ძალიან ბევრი თანამშრომელი დადის არა მხოლოდ ამ მონიტორინგის, არამედ ზოგადად, პატიმრების საჭიროებების შესასწავლად საპატიმროებში“, — განაცხადა წულუკიანმა.

მინისტრის თქმით, როდესაც პატიმარი ითხოვს ომბუდსმენთან შეხვედრას, ის ციხეში პირადად უნდა დადიოდეს.

ომბუდსმენმა ბიძინა ივანიშვილი და მისი ოჯახი არ დაიცვა!

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა პარლამენტში, საკომიტეტო მოსმენაზე განაცხადა, რომ სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია ყველას ომბუდსმენი არ არის. მაგალითებს შორის მან ბიძინა ივანიშვილი და საკუთარი თავი დაასახელა.

„მინდა, გაჩვენოთ ჩემი თანამშრომლების გაჭირვება, თუ რა პირობებში უწევთ მათ მუშაობა. თქვენ არ ხართ ყველას ომბუდსმენი? ბიძინა ივანიშვილის ომბუდსმენი თქვენ არ ხართ, როცა ლანძღავენ და შეურაცხყოფას აყენებენ მას და მის ოჯახს; მე თქვენი დაცვა არ მახსოვს და არც მჭირდება — არ ხართ ჩემი ომბუდსმენი; ახლახან მოვისმინე, ისიც ცოტა დაგვიანებით, ბატონი ანრის მცირეწლოვანი შვილები დაიცავით და როგორღაც გახდით მათი ომბუდსმენიც. სხვა მაგალითი სად არის, ან დეპუტატი დაიცავით, ან პოლიციელი, ან მინისტრი, ან სასჯელაღსრულების თანამშრომელი, რომლებსაც აფურთხებენ, სცემენ, წიხლებს ურტყამენ. ეს ანგარიშში არ არის, თუ ეს არ არის არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, როდესაც ხარ დედაჩემის ასაკის ექთანი და პატიმარი გაფურთხებს და წიხლებს გირტყამს. ეს არ არის კონვენციის მე—3 მუხლი, რომლის პრევენციაც თქვენ ჩემთან ერთად გევალებათ?“,— განაცხადა წულუკიანმა და დეპუტატებს რამდენიმე ვიდეო უჩვენა.

მე მაქვს უფლება, მეგონოს, რომ თქვენ მე პირადად მერჩით?!

„მადლობა მინდა ვუთხრა ომბუდსმენს იმასთან დაკავშირებით, რომ არ გააფორმა საკითხი ისე, თითქოს საქართველოში სუბკულტურა, ვითარცა ძველი დროის ურდო, ისე შემოესია ქვეყანას, როდესაც მე შევიერთე, პარლამენტის გადაწყვეტილებით, პენიტენციური სისტემა. მადლობა ამისთვის. მე მოლოდინი მქონდა, რომ საქართველოში საერთოდ სუბკულტურის და კრიმინალური მენტალიტეტის გაჩენა ჩემს სახელთან იქნებოდა დაკავშირებული. პირდაპირ არის ანგარიშში, რომ ეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის დამახასიათებელი სენია. მადლობა ამისთვის. ასევე 2017 და 2018 წელსაც, როდესაც მე არ გახლდით პენიტენციური სამსახურის მინისტრი, იგივე სახალხო დამცველი აღნიშნავდა, რომ ციხეებში სუბკულტურა არსებობს.

აქ ქალბატონმა ნინო ლომჯარიამ თქვა, რომ კითხვებია და საჭიროა, პასუხები გავცეთო. მეც მაქვს კითხვა. რატომ არ მოითხოვეთ, ვიდრე მე არ დამინახეთ მინისტრის პოზიციაზე, ამ კომიტეტში სუბკულტურის შესახებ საუბარი და სუბკულტურის შესახებ საკითხების განხილვა? ან მოითხოვეთ და არ დაგიკმაყოფილათ ქალბატონმა ეკა ბესელიამ, ეს არ მგონია. მე ვფიქრობ და მაქვს ეჭვი, რომ დღევანდელი განხილვა თქვენ მოითხოვეთ, რათა ჩემთვის პირადად დაგესვათ კითხვები და შეგექმნათ საზოგადოებაში აზრი, თითქოს რაღაც ვერ კეთდება ისე, როგორც უნდა გაკეთდეს. ხომ მაქვს უფლება, მეგონოს, რომ თქვენ მე პიროვნულად მერჩით?! თუმცა, ვიცი, რომ ეს ასე არ არის“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

ეპილოგის მაგიერ

სოფო კილაძე: ნაცებისგან ნაწამები ადამიანების ხმა ცას სწვდებოდა!

ნამდვილად არ არის გასაკვირი დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ ამ დარბაზში რომ არ არის, რადგან მართალია შუბლზე ძარღვის გაწყვეტა და იმის დაბრალება „ქართული ოცნებისთვის“, რასაც თავად აკეთებდნენ, უცხო არ არის, ამის მიუხედავად მათთვის პრაგმატული იყოს დღეს აქ არმოსვლა, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ სოფო კილაძემ განაცხადა.

„როგორ შეიძლება „ნაციონალური მოძრაობა“ „ქართულ ოცნებასა“ და თეა წულუკიანს ელაპარაკოს პენიტენციურ სისტემაზე და პენიტენციურ სისტემაში არსებულ დარღვევებზე, როდესაც მათ მიერ ნაწამები ადამიანების ხმა ცამდე ადიოდა. არავინ არ იყო მაშინდელი სახელისუფლებო გუნდიდან, რომ ეს ხმა გაეგონა და რაიმე ნაბიჯი გადაედგა ამ ადამიანებისთვის. ამიტომ გვყავდა 2010 წელს 144 გარდაცვლილი პატიმარი, 2011 თუ 2012 წელს — 140 გარდაცვლილი პატიმარი. ეს არის არასრული სტატისტიკა იმ ადამიანების, რომლებიც შეეწირნენ „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმს. ამიტომაც ვერ გაბედავდა დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ ვერც ერთი წარმომადგენელი აქ მოსვლას და ჩვენთვის, „ქართული ოცნებისთვის“ პენიტენციურ სისტემაში არსებული პრობლემების აქტუალიზებას“, — განაცხადა სოფო კილაძემ.

40 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲘ – ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ **მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მოსახლეობას ISUZU-ს მარკის ახალი, 40 ერთეული ავტობუსი წარუდგინა. ინფორმაციას დედაქალაქის მერია ავრცელებს.**

რვამეტრიანი, ევრო 6-ის ემისიის სტანდარტის ავტობუსები 23 იანვრიდან რამდენიმედღიანი ინტერვალით, რვა მარშრუტზე გადანაწილდება.

დედაქალაქის მერმა ავტობუსის ქალ მძღოლთან ერთად იმგზავრა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლების აუცილებლობაზე კიდევ ერთხელ ისაუბრა.

როგორც მან აღნიშნა, რვამეტრიანი ავტობუსების გარდა, დაახლოებით, 200 ერთეული 18-მეტრიანი ავტობუსის შესყიდვაც იგეგმება, რომელიც დედაქალაქის ქუჩებში უახლოეს მომავალში გამოჩნდება.

„დღეს მნიშვნელოვანი დღეა იმ თვალსაზრისით, რომ დედაქალაქს „ისუზუს“ მარკის 40 ერთეული რვამეტრიანი ავტობუსი შეემატა. კომფორტული საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება და საკუთარ ავტომობილზე უარის თქმა, იმ პოლიტიკის ერთ-ერთი ნაწილია, რომელიც საზოგადოებას ორი წლის წინათ წარვუდგინეთ. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი ისეთი მოწესრიგებული და გამართული იყოს, როგორც ევროპულ, განვითარებულ ქალაქებშია. ე.წ. ყვითელი ავტობუსების პარკის სრულ ჩანაცვლებას ძალიან მალე დავასრულებთ, თუმცა ამაზე არ ვჩერდებით. პარალელურად, გვინდა, დამატებით შემოვიყვანოთ ახალი ავტობუსები, რათა ქალაქში გადაადგილება სწრაფი და კომფორტული იყოს. ამას რა თქმა უნდა, პარალელურად მოსდევს ინფრასტრუქტურული პროექტები, სადაც ავტობუსების ზოლებს ყოველთვის ვითვალისწინებთ, რათა საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება შეუფერხებლად იყოს შესაძლებელი“, — განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერის თქმით, დაწყებულია თბილისის „მეტროპოლიტენის“ მოდერნიზება და არსებული ვაგონების განახლებაც. უახლოეს მომავალში კი მეტროს 40 ახალი ვაგონის შესასყიდად ტენდერი გამოცხადდება.

„ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა მიმართულია იმისკენ, რომ ჩვენს მიერ გაცემული დაპირებები შესრულდეს. საზოგადოებრივი ტრანსპორტი და, ზოგადად, ეს მიმართულება პირადად ჩემთვის და ჩემი თანაგუნდელებისთვის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად მივყვებით ამ პროექტების განხორციელებას. ის ადამიანები, ვისაც არ უხარია ქალაქის განვითარება და წინსვლა, ფიქრობენ, რომ განხორციელებული პროექტები „ქართული ოცნების“ და მხოლოდ კახა კალაძის მიღწევაა. ეს ჩვენი, ყველას ერთობლივი გამარჯვება და წარმატებაა. მიუხედავად ჩვენი პოლიტიკური შეხედულებებისა, ყველანი ამ ქალაქში ვცხოვრობთ და ამ ქვეყნის შვილები ვართ. ჩვენ გაჩერებას არ ვაპირებთ. წინ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება გველოდება და 2020 წელი ჩვენი ქალაქისთვის განსაკუთრებული იქნება. დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე ჩვენი ქალაქით და იმ პროექტებით, რომლებიც განხორციელდება, ყველანი ვიამაყებთ“, — აღნიშნა თბილისის მერმა.

კახა კალაძემ ყველა იმ ადამიანს, რომელიც სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში ყოველდღიურ რეჟიმშია ჩართული, მადლობა გადაუხადა და წარმატება უსურვა.

„ისუზუს“ მარკის ავტობუსები გათვლილია 53 მგზავრზე, აქედან 21 დასაჯდომი ადგილია; ავტობუსები სრულად ადაპტირებულია შშმ პირთათვის; ავტობუსში განთავსებულია, როგორც WIFI მოდემი, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანი ავტობუსის WIFI-ს სიგნალით დაფარვას, ასევე, თანამედროვე სტანდარტის, ინტეგრირებული გათბობის, კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემები. გარდა ამისა, გააჩნია ვიდეომონიტორინგის ანტივანდალური და საინფორმაციო ხმოვანი შეტყობინებების სისტემები, ასევე, USB-დამტენები.

ახალი ავტობუსები შემდეგ მარშრუტებს მოემსახურება: №17 — გადასასვლელი ხიდი — მუხიანის მე-4 მიკრორაიონი; №27 — სადგურის მოედანი — ვაშლიჯვრის დასახლება; №40 — ვარკეთილის მეურნეობა — ისანი; №45 — მეტროსადგური „ახმეტელის თეატრი“ — სოფელი გლდანი; №60 — გადასასვლელი ხიდი — მეტროსადგური „ღრმაღელე“; №62 — სადგურის მოედანი — ზღვის უბნის დასახლება; №73 — მეტროსადგური „ახმეტელის თეატრი“ — გლდანულა; №99 — მეტროსადგური „დელისი“ — ნუცუბიძის მე-4 მიკრორაიონი.

გარდა ამისა, უახლოეს მომავალში თბილისს დამატებით, „ისუზუს“ მარკის 40 ერთეული ავტობუსი შეემატება. შარშან შპს „სატრანსპორტო კომპანიამ“ მუნიციპალური ავტოპარკის განახლების პროექტის ფარგლებში, სულ „ისუზუს“ მარკის 220 ერთეული და „მანის“ მარკის 90 ერთეული ავტობუსი შეისყიდა.

ახალი ავტობუსების წარდგენის ღონისძიებას საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, მერის მოადგილეები, თბილისის მთავრობისა და საკრებულოს წევრები, ასევე, სატრანსპორტო კომპანიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ᲗᲮᲔᲕᲐᲓᲘ ᲐᲘᲠᲘᲡ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲐᲛ ᲛᲫᲦᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲞᲘᲙᲡ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ

ᲠᲐ ᲒᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲡ ᲓᲐᲑᲐᲚ ᲤᲐᲡᲡ?

ᲗᲮᲔᲕᲐᲓᲘ **აირის ავტომობილებში საწვავად გამოყენება ბოლო პერიოდში საოცრად პოპულარული გახდა. ბევრი მანქანა გადადის ამ ტიპის საწვავზე, თავბრუდამხვევი სისწრაფით იზრდება იმპორტი და გაზგასამართი სადგურების ქსელიც. ამ ყველაფრის მიზეზი, პირველ რიგში, დაბალი ფასია, რომელიც სინამდვილეში სულ სხვა მანიპულაციებით მიიღწევა.**

მომხმარებელი ბოლო დროს მართლაც აკეთებს არჩევანს თხევადი აირის მოხმარებაზე. თხევადი აირის (ელპიჯი) რეალიზაცია ბოლო დროს მკვეთრად გაიზარდა. ბოლო 2-3 წელიწადში მისი გამოყენება აქტიურად დაიწყო სატრანსპორტო საშუალებებში. ამ დროს, როგორც მომხმარებლები და ნაწილობრივ სპეციალისტებიც აღნიშნავენ, ჩასხმის დროს თითქმის ყველა კომპანია იტყუება.

ფასთა შორის სხვაობა თხევად აირსა და ბენზინს შორის საკმაოდ დიდია. თუ დღეს ბენზინის საშუალო ფასი 2.40 ლარია, თხევადი აირი 1.35 ლარი ღირს. შესაბამისად, თხევად აირზე სულ უფრო ხშირად გადაჰყავთ ავტომობილები. იგი დიდ კონკურენციას უწევს ბუნებრივ აირსაც.

აღსანიშნავია, რომ დაბალი ფასის განმაპირობებელი სულ სხვა მომენტია. საქმე ისაა, რომ კონტრაბანდამ საწვავის ბაზარზეც შეაღწია. დღესდღეობით თხევადი აირის არალეგალურად შემოტანა პროდუქტზე დადგენილი სპეციალური კოდებისა და მათზე არსებული დაბეგვრის სისტემის საშუალებითაა შესაძლებელი.

დღეს მოქმედი ნორმით, ადგილობრივი ქიმიური წარმოებისთვის განკუთვნილი თხევადი აირი არ იბეგრება და სწორედ ამ ტიპის საწვავისთვის მინიჭებული საშეღავათო კოდით შემოდის თხევადი აირი მანქანებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურებისთვის. საბუთები ფორმდება, როგორც წარმოებისთვის განკუთვნილი საქონლისთვის, მაგრამ რეალურად იგი ხვდება გაზგასამართი სადგურების ქსელში. ამიტომაც ბოლო 2 წელიწდაში თხევადი აირის იმპორტი ლამის 10000-ჯერ გაიზარდა.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაციის ხელმძღვანელი **ბექა კემულარია** აღნიშნავს, რომ იმპორტის საეჭვოდ ზრდა შესაბამისი სტრუქტურებისთვის უნდა იყოს სიგნალი, რათა ბაზრის მოკვლევა მოახდინონ.

„აშკარაა, რომ არასწორი დანიშნულებით ხდება კოდის მინიჭება, რაც შავი ხვრელია ბიზნესისთვის. ფაბრიკა-ქარხნები არ გვაქვს იმ დონეზე, რომ ქიმიური წარმოებისთვის თხევადი აირის ზრდის საჭიროება შეიქმნას. ამიტომ ამ ტიპის საწვავის შემოტანისას შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის აუცილებლობაც უნდა არსებობდეს. ერთია შემოტანა, მეორე — რეალიზაცია, ერთიც და მეორეც არალეგალურად ხდება და კანონმდებლობა ირღვევა, რასაც რეაგირება სჭირდება. ფაქტია, რომ გადასახადი იმალება და ბიუჯეტი დიდ ფულს კარგავს.

სტატისტიკა არის სიგნალი, რომ მოიკვლიონ, რა ხდება და რამ გამოიწვია ზრდა. არა მარტო ბიუჯეტი, ზარალდება ბიზნესიც, რომელიც კეთილსინდისიერი გადამხდელია. კონტრაბანდის გამო ის არაკონკურენტუნარიანი ხდება და შემოსავალს კარგავს, რაც ზოგიერთისთვის ძალიან ცუდად შეიძლება დასრულდეს. ამ შემთხვევაში ბიუჯეტზე მეტად კომპანიები ზარალდებიან,“ — აღნიშნა კემულარიამ.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე **ვანო მთვრალაშვილი** ყურადღებას ამახვილებს საკუთრივ გაზგასამართი სადგურების გაუმართაობაზე. მათი დიდი ნაწილი სრულებით არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ნორმებს.

„გაზგასამართი სადგურების ნაწილი არ აკმაყოფილებს ტექნიკური გამართულობის და უსაფრთხოების ნორმებს. ავზები მიწისქვეშ უნდა იყოს, უნდა ჰქონდეთ მეხმარიდები და სხვა. მინიმალური ნორმებია, რასაც ყურადღება არ ექცევა. მეორე მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ ზოგი კომპანია არ ახდენს საწვავის ზუსტ ჩასხმას. ატყუებენ მომხმარებელს და ამის ხარჯზეც იღებენ დამატებით შემოსავალს. გამომდინარე იქიდან, რომ დიდი კონკურენციაა და ბევრი კომპანიაა, ამოსავალი წერტილი დაბალი ფასია, მომხმარებელს მისი მეშვეობით იზიდავენ. ამ დროს კი მასაც ატყუებენ და სახელმწიფოსაც“, — აღნიშნა ვანო მთვრალაშვილმა.

ᲑᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ᲜᲐᲜᲣᲙᲐ ᲟᲝᲠᲟᲝᲚᲘᲐᲜᲗᲐ ᲒᲐᲑᲣᲜᲘᲐᲡ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲜᲝᲚᲝ�გᲡ ᲙᲑᲘᲚᲘ ᲒᲐᲰᲙᲠᲐ!

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ **ნანუკა ჟორჟოლიანი „პოსტფაქტუმში“ გიორგი გაბუნიას მონოლოგს სოციალურ ქსელში გამოეხმაურა.**

„ვაახ, რა ამბები გამომიტოვებია. როდის იყო ჩვენ ვწყვეტდით ვინ, სად მოვა. რაც არ უნდა გავლენიანი იყოს ტელევიზია და ცალკეული ჟურნალისტი, მაინც არავინ ეკითხება ვინ — სად მივა. თუმცა პირადი მოსაზრება ყველას შეუძლია ჰქონდეს. ოცნებებიც...

რაც შეეხება მიშას ერთპიროვნულ მმართველობას, რომელიც გაბუს თქმით, თურმე ყოფილა, ძალიან ქოცური ნარატივია და ვწუხვარ, რომ მისგან მესმის ის, რასაც გავრილოვები ამბობენ“, — წერს ჟურნალისტი.

შეგახსენებთ, გუშინ გიორგი გაბუნიამ საავტორო გადაცემაში ექსპრეზიდენტზე ისაუბრა და თქვა: „ჩემი აზრით, მიხეილ სააკაშვილი ვეღარასდროს ვეღარ მოვა ქვეყნის ერთპიროვნულ მმართველად. მას ამის უფლებას აღარავინ აღარ მისცემს“.

გაბუნიამ ამ მონოლოგით მიხეილ სააკაშვილის კრიტიკა დაიმსახურა.

საქართველომ თავი ზედმეტად არ უნდა ასწიოს!..

შეერთებული შტატების მიერ ირანელი გენერლის ყასემ სოლეიმანის ლიკვიდაციის შემდეგ, მთელი მსოფლიოს ყურადღება ირანისა და შეერთებული შტატების დაპირისპირების შესაძლო განვითარებისკენ იყო მიმართული. გაგრძელდება თუ არა ირანსა და ამერიკას შორის დაპირისპირება, როგორია რუსეთის პოზიცია და რის გაკეთება შეუძლია საქართველოს საკუთარი ინტერესების დასაცავად? ამ თემებზე ია მეურმიშვილი „დემოკრატიების დაცვის ფონდის“ მკვლევარს რუელ გერეხტს ესაუბრა.

ირანი ამერიკის ერაყიდან გაძევებას ეცდება, საქართველოს კი საფრთხე არ ემუქრება

— რუელ, დიდი მადლობა, ჩვენთვის დრო რომ გამონახეთ. მოდით, დიდი შეკითხვით დავიწყოთ — ომი დაიწყო?

— ვფიქრობ, ირანს წონასწორობა დაერღვა. თეირანი 1979 წლიდან იმის მოლოდინით მოქმედებდა, რომ ამერიკა მის სასიკვდილო ნაბიჯებს უპასუხოდ დატოვებდა. გენერალ სოლეიმანის სიკვდილის შემდეგ ეს შეხედულება შეიცვალა.

— არა. არ მგონია, შეერთებული შტატები ირანთან ომში იყოს ჩართული. ვფიქრობ, ომისგან შორს ვართ. თუმცა, ვფიქრობ, დონალდ ტრამპმა ყველას დაანახვა, რომ მოულოდნელობებითაა სავსე. ამის მაგალითი ყასემ სოლეიმანის მოსპობაა, რასაც არც ვაშინგტონში და არც ირანში ელოდებოდა ვინმე.

— სამხედრო სამიზნის განეიტრალება საომარი მოქმედება არ არის? გენერალ სოლეიმანის მოკვლას ირანი საომარ მოქმედებად არ ჩათვლის?

— ტანგოს ცეკვას ორი მხარე სჭირდება. ირანი ისე ჯერ არ იქცევა, რომ ამერიკასთან ომშია ჩართული. ვფიქრობ, ირანს წონასწორობა დაერღვა. თეირანი 1979 წლიდან იმის მოლოდინით მოქმედებდა, რომ ამერიკა მის სასიკვდილო ნაბიჯებს უპასუხოდ დატოვებდა. გენერალ სოლეიმანის სიკვდილის შემდეგ, ეს შეხედულება შეიცვალა. ამერიკა თეირანს ყოველთვის მეორე ლოყას უშვერდა, მაშინაც კი, როდესაც ირანის საქმიანობა ამერიკელების სიცოცხლეს იწირავდა. ტრამპმა თამაში წესები შეცვალა. მან ირანელებს დაანახვა, რომ მზადაა, ლეტალური ძალა გამოიყენოს.

— თქვენი აზრით, რატომ მოკლა ამერიკამ გენერალი ახლა?

— ადმინისტრაციამ თქვა, რომ ჰქონდა ინფორმაცია დაგეგმილ თავდასხმებზე. ასევე ცხადია ის, რომ ირანი ერაყში საკუთარ ყოფნას აძლიერებდა. ასევე, არსებობს ინფორმაცია, რომ ირანი ერაყს ამერიკელების წინააღმდეგ იარაღით და წვრთნებით უზრუნველყოფდა. ვფიქრობ, ეს ყველაფერი უბრალოდ დაგროვდა და კულმინაციას მიაღწია, რამაც ადმინისტრაციას მიაღებინა გადაწყვეტილება, რომ ერთ-პიროვნული ლიდერი გაენეიტრალებინათ.

— ირანის ხელმძღვანელობამ, სულიერმა ლიდერმა, პრეზიდენტმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა, ყველამ პირობა დადო, რომ გენერლისთვის შურს იძიებდნენ. რა გრძელვადიანი არჩევანი აქვს ირანს?

— ირანს ასევე შეუძლია, ჰორმუზის სრუტის დანაღმვა, მაგრამ ამერიკას სწრაფი განნაღმვის შესაძლებლობა აქვს. მათ შეუძლიათ პატარა ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ გრძელვადიან, დამაკმაყოფილებელ მოქმედებებში, ისინი საკმაოდ შეზღუდულნი არიან.

სულიერ ლიდერს და სამეთაურო სტრუქტურებს რაღაც დრო დასჭირდებათ იმისთვის, რომ სოლეიმანის დაკარგვის შემდეგ, ბალანსი აღიდგინონ. ვფიქრობ, სოლეიმანი უმაღლეს ლიდერს ძალას აძლევდა. რეჟიმს რაღაც დრო დასჭირდება. არ მგონია, ისრაელის წინააღმდეგ რამე მოიმოქმედონ, იმიტომ რომ ისრაელს მათთვის დიდი ზიანის მიყენება შეუძლია. საუდის არაბეთში კი ალბათ იმოქმედებს. ცოტა ხნის წინათ ირანმა საუდის არაბეთში ნავთობის ობიექტები დაბომბა და რიადი ამას არც კი გამოხმაურებია. შეიძლება, ამის გამო თეირანმა იფიქროს, რომ სამეფოზე დარტყმის მიყენება შესაძლებელია. ირანს ასევე შეუძლია ჰორმუზის სრუტის დანაღმვა, მაგრამ ამერიკას სწრაფი განნაღმვის შესაძლებლობა აქვს. მათ შეუძლიათ პატარა ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ გრძელვადიან, დამაკმაყოფილებელ მოქმედებებში ისინი საკმაოდ შეზღუდული არიან.

— ამერიკაში შიდა გამოხმაურებაზე რას იტყვით? დემოკრატმა ლიდერებმა წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ნენსი პელოსიმ, სენატში უმცირესობის ლიდერმა ჩაკ შუმერმა და სხვებმა, თქვეს, რომ პრეზიდენტს მათთან კონსულტაცია არ გაუვლია.

— არ მიკვირს ის, რომ ამერიკის პრეზიდენტმა კონგრესთან რჩევები არ გაიარა ოპერაციაზე, რომლის განხორციელების გადაწყვეტილებაც, ალბათ, მოკლე დროში მიიღო. ვაშინგტონი ძალიან პოლარიზებული ქალაქია და დონალდ ტრამპი დამაპირისპირებელი ფიგურაა. ეს სამწუხაროა. ირანთან ბირთვული შეთანხმების ხელმოწერამდე, თეირანთან დაკავშირებული პოლიტიკური დაპირისპირება ასეთი მწვავე არ იყო.

— სტოლტენბერგიც მხარდამჭერი სიტყვით გამოვიდა...

— ვფიქრობ ახლა უკვე იციან, რომ ტრამპი ამას არ აკეთებს და ეს ძალიან არავის გაჰკვირვებია. ევროპელები, ალბათ, დამწუხრებული არიან, რადგან ირანთან ბირთვული შეთანხმება ევროპის მიერ მიღწეული ერთ-ერთი ყველაზე ერთსულოვანი გადაწყვეტილება იყო და დონალდ ტრამპმა ის, ფაქტობრივად, ნაგავში გადააგდო. არ მგონია, ტრამპმა ისინი გააკვირვა, რადგან მისგან მოულოდნელობა არავის უკვირს.

— ეს კარგია თუ ცუდი?

— ეს კარგია, თუ მტრებზე ვლაპარაკობთ და ცუდია, თუ მოკავშირეებს ვგულისხმობთ. უკეთესი იქნებოდა, უფრო ახლო ურთიერთობა რომ გვქონდეს ევროპელებთან.

— რა იქნება ამის შემდეგ? როგორ შეიძლება, ეს სცენარი გაგრძელდეს?

— ვფიქრობ, ისინი ეცდებიან, ამერიკელები ერაყიდან გააგდონ. ეს სტრატეგიული მიღწევა იქნება და მომდევნო 12-16 თვეში სრულიად შესაძლებელი სცენარია. ამით სირიაში ამერიკის პოზიცია დასუსტდება და ირანს კი სირიასთან სახმელეთო ხიდი გაუჩნდება, რომლითაც კონტროლის გარეშე შეძლებს სატვირთოებით იარაღის და სხვა ტვირთის გადაზიდვას. ეს მათთვის დიდი სტრატეგიული გამარჯვება იქნება.

ეს დამოკიდებულია ირანელებზე. გამომდინარე იქიდან, რომ მათ კარგად მოქნილი საიდუმლო ოპერაციების შესაძლებლობები აქვთ, შეიძლება, ეს გზა აირჩიონ. ვფიქრობ, ისინი ეცდებიან, ამერიკელები ერაყიდან გააგდონ.

— რა შეიძლება, იყოს რუსეთის პოზიცია რამდენიმე კვირაში ან თვეში?

— რუსებს საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვთ ისლამურ რესპუბლიკასთან. მათ სტრატეგიული კავშირები აქვთ სირიაში და ახლო სამხედრო ურთიერთობა აკავშირებთ. ირანის წინააღმდეგ გაეროს სანქციები რომ დამთავრდეს, რაც შეიძლება ოქტომბერში მოხდეს, ეჭვი მაქვს, რომ რუსეთი ირანის უმსხვილესი იარაღის მიმწოდებელი იქნება.

საერთაშორისო სანქციების გამო, თეირანს ძალიან უჭირს ვალუტის მოპოვება. ვლადიმირ პუტინი კი საბჭოთა კავშირივით გულუხვი არ არის. მას იარაღის უფასოდ მიცემა არ მოსწონს და უნდა, რომ ირანმა იარაღში ფული გადაიხადოს.

თუმცა, ეს იმას ასკვნის, რომ ირანი ფულის მოძიებას შეძლებს. საერთაშორისო სანქციების გამო, თეირანს ძალიან უჭირს ვალუტის მოპოვება. ვლადიმირ პუტინი კი საბჭოთა კავშირივით გულუხვი არ არის. მას იარაღის უფასოდ მიცემა არ მოსწონს და უნდა, რომ ირანმა იარაღში ფული გადაიხადოს.

— ირანს კი ახლა არ შეუძლია იარაღის ყიდვა.

— სანქციების მიუხედავად, ირანი მაინც რჩება ნავთობით მდიდარ ქვეყნად და წესით იარაღის ყიდვა შეუძლია. თუმცა, მათ წინაშე არსებული ყველა გამოწვევის ფონზე, ეს მათთვის ძალიან რთული იქნება. არ მგონია, ვლადიმირ პუტინმა ისლამურ რესპუბლიკას ტანკები და გამანადგურებლები ყველასთვის დასანახად მიჰყიდოს. შეიძლება, თუმცა ეს საინტერესო კითხვაა.

— ასეთ შემთხვევაში, რუსეთს ურთიერთობა გაურთულდება არა მარტო ამერიკასთან — რაც ჩემი აზრით, უკვე საკმაოდ რთულია — არამედ თურქეთთან, საუდის არაბეთთან, თუ ეგვიპტესთან, რომლებიც უკვე ყიდულობენ რუსულ იარაღს.

— ვფიქრობ, პუტინი საკმაოდ კარგ პოზიციაშია. მისმა ახლო ურთიერთობამ ირანთან ის ყველასთვის საჭირო მოთამაშედ აქცია. ყველას სურს პუტინთან საუბარი. რუსეთი არ არის ძლიერი სახელმწიფო ეკონომიკური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით, მაგრამ პუტინი ძალიან კარგ ხელს თამაშობს. ირანთან ალიანსში ყოფნამ ის რეგიონში სტრატეგიულ მოთამაშედ აქცია. არ მგონია, მას პრობლემა ჰქონდეს, იარაღი ორივე მხარეს მიჰყიდოს, თუ ორივეს ამაში ფულის გადახდა შეუძლია.

— იმ შემთხვევაში, თუ ეს კონფრონტაცია გაღრმავდა და ამის შესაძლებლობა არის. იმ შემთხვევაში, თუ ამერიკამ ირანში რეჟიმის შეცვლა გადაწყვიტა, რუსეთს რეგიონში ეს სტრატეგიული სტატუსი ჩამოერთმევა. თქვენი აზრით, ამ ეტაპზე რუსეთი მუშაობს ირანთან იმაზე, რომ ეს სცენარი თავიდან აიცილოს?

— არა მგონია, ირანელები საქართველოს, როგორც ბოროტების წყაროს ისე უყურებდნენ და არა მგონია, ირანელები საქართველოს ისე ხედავდნენ, თითქოს ის ამერიკული ავიამზიდი იყოს, რომელსაც იარაღი ირანისკენ აქვს მიშვერილი. არა მგონია, საქართველო ირანის მხრიდან რაიმე საფრთხის წინაშე იყოს.

ვფიქრობ, ვლადიმირ პუტინს სურს, ისლამური რეპუბლიკა უცვლელად დარჩეს. თეოკრატიის ჩამოშლა ირანში ამერიკის ინტერესებს გააუმჯობესებს, რაც რუსეთისთვის ცუდი იქნება. მისი ინტერესები თეირანის რეჟიმის მიზნებს ემთხვევა და, არა მგონია, ეს შეიცვალოს.

— როგორ ფიქრობთ, ამერიკამ შეიძლება ირანში რეჟიმის შეცვლა სცადოს? თუ ეს უკიდურესად თეორიული მოსაზრებაა?

— არა მგონია, დონალდ ტრამპი რეჟიმების ცვლილების პოლიტიკას ეთანხმებოდეს. ეს რამდენადაც წარმოუდგენელი შეიძლება ჩანდეს, მას ირანთან ახალი ბირთვული შეთანხმება სურს.

— რა მესიჯს ატარებდა გენერლის მოკვლა ჩრდილოეთ კორეისთვის, ბაშარ ალ ასადისთვის ან სხვა მსგავსი რეჟიმებისთვის?

— ვფიქრობ, საერთაშორისო დონეზე ეს ძლიერი მესიჯი იყო. მან ამერიკის ძალა მსოფლიო არენაზე საკმაოდ მძლავრად დააბრუნა. მსოფლიო შეეჩვია იმას, რომ ამერიკა საერთაშორისო დონეზე ძალიან ცოტას აკეთებდა. ირანი ნამდვილად არ ელოდებოდა იმას, რომ მის ყველაზე გავლენიან გენერალს მოსპობდა. დონალდ ტრამპი ამერიკის ძალას ნამდვილად არ იყენებდა საზღვარგარეთ. ამას არც პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაცია აკეთებდა. საკმაოდ დიდი დრო გავიდა იმის მერე, რაც მსოფლიომ ამერიკის კუნთები დაინახა. ეს, ვფიქრობ, კარგი რამაა. რამდენად გააგრძელებს ტრამპი ამ პოლიტიკას, უცნობია. ამას უნდა დაველოდოთ და ვნახოთ.

— შეშფოთება არ გეტყობათ.

— არა. პირიქით, შვება ვიგრძენი.

— შვების განცდას რა გიქმნით?

— კარგია ის, რომ ამერიკა ასეთი ბოროტი ადამიანის წინააღმდეგ ძალის გამოსაყენებლად მზადაა. ასეთი სამართლიანი მეთოდით ძალის გამოყენება არ არის ცუდი. ეს მესიჯს უგზავნის ყველას, ვისაც ჩვენთვის ზიანის მოყენება სურს.

— მოდით, მოკლედ საქართველოზეც ვისაუბროთ. საქართველო ამ რეგიონის ქვეყანაა და ირანთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს. შეერთებული შტატები საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული მეგობარია... და ასეთი რამ ხდება. საქართველო ირანსა და ამერიკას შორისაა მოქცეული და, რა თქმა უნდა, აქ რუსეთიცაა.

— რუსეთთან ყოველთვის ცუდადაა მოქცეული...

— ამ ნიშანდობლივ შემთხვევაში, როცა ირანსა და ამერიკას შორის დაპირისპირებასთან გვაქვს საქმე, რის გაკეთება შეუძლია საქართველოს, რა უნდა ქნას საქართველომ?

— საქართველომ ის უნდა ქნას, რასაც საქართველო ხშირად შვრება — უბრალოდ, თავი ზედმეტად არ ასწიოს. არა მგონია, ირანელები საქართველოს, როგორც ბოროტების წყაროს, ისე უყურებდნენ და არა მგონია, ირანელები საქართველოს ისე ხედავდნენ, თითქოს ის ამერიკული ავიამზიდი იყოს, რომელსაც იარაღი ირანისკენ აქვს მიშვერილი. არა მგონია, საქართველო ირანის მხრიდან რაიმე საფრთხის წინაშე იყოს. საქართველომ რაზეც უნდა იზრუნოს, ისაა, რომ ირანელებს არ მისცეს საშუალება, საქართველო ზემოქმედების მომხდენ ნაწარმთა მისაღებად წარმატებით გამოიყენონ. ამ მხრივ, ზემოქმედების თავის ასარიდებლად, ირანელებს კავკასიის — საქართველოს და აზერბაიჯანის — გამოყენება მოსახერხებლად მიაჩნიათ. ეს არ გულისხმობს იმას, რომ მთავრობამ ამის შესახებ იცის. პირიქით, ასეთი ვაჭრობის დიდი ნაწილი რადარებს მიღმა ხდება. ეს ისეთი რამაა, რაც კავკასიის ქვეყნებს ირანისთვის მნიშვნელოვანს ხდის. ეს სხვა თემაა და ის მიმდინარე საკითხს არ უკავშირდება.

— ანუ ახლა თავი მაღლა არ ასწიოს და არაფერი ქნას?

— დიახ, ეს ყველაზე საღი აზრი იქნება.

ია მეურმიშვილი,
amerikiskhma.com

სოლეიმანის შემცვლელი შურისძიების პირობას დებს

ირანის გუშაგთა კორპუსის ქვედანაყოფ ალ-ქუდსის ახალი მეთაური ისმაილ ყაანი პირობას დებს, რომ მისი წინამორბედის მკვლელობისთვის შურს იძიებს.

ყასემ სოლეიმანის შემცვლელმა ამის შესახებ გუშაგთა კორპუსის მიერ გამართული წარდგენის ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. **„მათ სოლეიმანი ლაჩრულად მოკლეს, მაგრამ თავისუფლების მაძიებლების წყალობით, მსოფლიოს მასშტაბით, ჩვენ მისი მტრების წინააღმდეგ შურს ვიძიებთ“,** — თქვა ისმაილ ყაანმა.

პირველად საუდის არაბეთის ისტორიაში

საუდის **არაბეთის შეიარაღებულ ძალებში ქალთა პირველი სამხედრო ქვედანაყოფი შეიქმნა.**

ქალთა პირველი ქვედანაყოფის შექმნის ბრძანება საუდის არაბეთის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსმა, გენერალმა ფაიად არ-რუვაილიმ გასცა.

2019 წლის ოქტომბერში საუდის არაბეთის ხელისუფლებამ ქალებს უფლება მისცა შეიარაღებული ძალების რიგებში ემსახურათ სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალების, საზღვაო-სამხედრო ძალების, ანტისარაკეტო თავდაცვს ძალების, სამედიცინო სამსახურისა და სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების უმცროს კაპრალებად, კაპრალებად და სერჟანტებად.

იმ მომენტიდან, როცა სამეფოს მემკვიდრე პრინცი გახდა მუჰამედ ბენ სალმანი, საუდის არაბეთში ცვლილებები დაიწყო, უპირველესად, ეს ცვლილებები შეეხო საზოგადოებაში ქალების როლს. ქალებს ავტომობილის მართვის, სპორტულ ასპარეზობებზე დასწრების, ასევე არმიასა და პოლიციაში სამსახურის უფლება მისცეს.

ინტერპოლის ყოფილი პრეზიდენტი ჩინეთში დააკავეს

ჩინეთის **სასამართლომ ინტერპოლის ყოფილ პრეზიდენტ მენ ჰუნვეის დიდი ოდენობით ქრთამის აღებისთვის 13,5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ჰუნვეის ასევე 290 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა.**

მენ ჰუნვეი ინტერპოლს 2016 წლის ნოემბრიდან ჩაუდგა სათავეში. 2017 წლის სექტემბერში ჩავიდა ჩინეთში, რის შემდეგაც მასთან კავშირი გაწყდა. ჩინეთის ხელისუფლებამ მოგვიანებით აღიარა, რომ მენ ჰუნვეი კორუფციის ბრალდებით დააკავა.

2019 წლის მარტის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ ინტერპოლის ყოფილი ხელმძღვანელის საქმეს სასამართლო განიხილავდა. ივნისში, ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე მენ ჰუნვეიმ დიდი რაოდენობით ქრთამის აღება აღიარა.

2018 წლის ნოემბერში ინტერპოლის ხელმძღვანელი კიმ ჩონ იანი გახდა.

ახალი ჩინური კორონავირუსის საქართველოში გავრცელების საფრთხე არ არსებობს!



საქართველოში **ახალი კორონავირუსის გავრცელების შესახებ წინასწარ შიშის საფუძველი არ არსებობს, — ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ განაცხადა.**

მისი თქმით, ჩინეთის იმ ქალაქში, სადაც აღნიშნული შემთხვევა გამოვლინდა, 19 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ხოლო პროვინციაში — 60 მილიონი. აღნიშნული ქალაქიდან პირდაპირი ავიარეისები ტაილანდსა და იაპონიაში სრულდება.

„არავითარი საფუძველი, წინასწარ თავზე ნაცრის წაყრის, შიშის, რომ მოვიდა ჩინეთიდან ვირუსი, ნამდვილად არ არსებობს. შეგიძლიათ, წყნარად იყოთ. თუ რამე რეკომენდაცია იქნება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციიდან, პირველს ჩვენ გვეცოდინება“, — განცხადა პაატა იმნაძემ.

მისი თქმით, საჭიროების შემთხვევაში, ამოქმედდება გეგმა, რომელიც ატიპიური პნევმონიის დროს იყო, რადგან საქართველო საერთაშორისო ნორმებით განსაზღვრულ წესებს იცავს.

„გეგმა გულისხმობს იმას, რაც იყო ატიპური პნევმონიის დროს, რომელიც ამუშავდება და დღესაც მუშაობს ებოლაზე, როდესაც ვინმე ჩამოდის ინფიცირებული არეებიდან და, რომელიც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ უნდა მოგვაწოდოს, ამის შემდეგ შეიძლება, ამუშავდეს. ეს ჯანმრთელობის საერთაშორისო წესებია. საქართველო ყველა იმ წესს იცავს, რომელიც არის ჯანმრთელობის საერთაშორისო წესებით განსაზღვრული. ეს ნიშნავს, რომ შეიძლება, ამ დროს ჩამოსული ადამიანები გამოიკითხონ, საქართველოში ყოფნას სად აპირებენ და შემდეგ რაღაც პერიოდულობით, როდესაც ამ დაავადების ინკუბაციური პერიოდი დაზუსტდება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუშაკი შეეხმიანება, სახლში ან მობილურზე დაურეკავს და ჰკითხავს, როგორია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. თუ რამე პრობლემები აქვს, ურჩევს, რომელ საავადმყოფოში მივიდეს. ეს არის ჩვეულებრივი მეთვალყურეობის მექანიზმი.

დღევანდელი ოფიციალური, ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების მიხედვით, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მითითება ყველა ქვეყნისთვის არის, არავითარი შეზღუდვა ჩინეთში მგზავრობაზე, ვაჭრობაზე და ა.შ. ეს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ოფიციალური პოზიციაა“, — განაცხადა პაატა იმნაძემ.

ჩინეთში ახალი კორონავირუსით ინფიცირების 198 შემთხვევა გამოვლინდა. ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, დაღუპულია სამი ადამიანი. ახალი კორონავირუსით ინფიცირების პირველი შემთხვევა დაფიქსირდა სამხრეთ კორეაში.

ამასთან, მეცნიერთა აზრით, ჩინეთში გამოჩენილი მწვავე რესპირატორული სინდრომის მსგავსი ვირუსის გავრცელების ნამდვილი მასშტაბი შესაძლოა, იმაზე გაცილებით დიდია, ვიდრე ოფიციალური მონაცემები მიუთითებს. გავრცელების ცენტრია ქალაქ უხანის ზღვის პროდუქტების ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია; ეს 11-მილიონიანი ქალაქი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძია. ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის გლობალური ინფექციური დაავადებების ანალიზის ცენტრის მეცნიერების მიერ გამოქვეყნებული მოხსენების მიხედვით, ვირუსის შემთხვევების ციფრი ქალაქში სავარაუდოდ 1700-ია.

კორონავირუსი ადამიანიდან ადამიანზე გადადის!

ჩინეთმა **დაადასტურა, რომ ახალი ტიპის კორონავირუსით ადამიანი ინფიცირებულ პაციენტთან კონტაქტის შემდეგ ავადდება.**

ახალი ვირუსი, რომელმაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, საერთაშორისო მედიის ყურადღების ცენტრში მოხვდა.

ქალაქ ვუჰანში ბოლო პერიოდში აღმოჩენილი ახალი ვირუსი უკვე სხვა ქვეყნებშიც გამოვლინდა, ამერიკის შეერთებული შტატების მიმართულებით მიმავალ მგზავრებს კი დაავადების სიმპტომებზე ამოწმებენ. რამდენად საშიშია აღნიშნული ვირუსი და არის თუ არა საქართველო მზად პოტენციური საფრთხისთვის?

რაც შეეხება ქვეყნის გარეთ ვირუსის გავრცელების მაჩვენებელს, სამხრეთ კორეაში, ტაილანდსა და იაპონიაში ვირუსის გავრცელების თითო-თითო შემთხვევა დაფიქსირდა.

ვირუსის გენეტიკური ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ვირუსი თავისი შინაარსით ყველაზე ახლოს არის ვირუს SARS-თან, რომელმაც 2000 წლების დასაწყისში 774 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

რა ვიცით ვირუსის შესახებ

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, 2019-MERS სახელწოდების ვირუსი აქამდე არ გამოვლენილა ადამიანებში.

აღნიშნული ვირუსი არის კონორავირუსების ოჯახის მეშვიდე წარმომადგენელი;

მანამდე მსოფლიოში გავრცელებული იყო მხოლოდ 6 სახეობა, რომლითაც ადამიანები ავადდებოდნენ;

მეცნიერების აზრით, ვირუსის გავრცელების მთავარი წყარო, დიდი ალბათობით, ცხოველია, თუმცა დაფიქსირდა ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის ფაქტებიც;

ინფექცია ვლინდება რესპირატორული სიმპტომების სახით, ცხლებით, ხველით, ქოშინით და სუნთქვის გაძნელებით;

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ვირუსის პრევენციის მიზნით უნდა მოვერიდოთ ცხოველებთან „დაუცველ“ კონტაქტს, ხორცისა და კვერცხის მომზადებისას ყურადღება მივაქციოთ, რომ ორივე მათგანი კარგად იყოს მომზადებული და მოვერიდოთ ახლო კონტაქტს იმ ადამიანებთან, ვისაც გაციების ან გრიპის სიმპტომები აღენიშნება.

რას ამბობენ ჩინეთის მაღალჩინოსნები

ჩინეთის ნაციონალური ჯანმრთელობის კომისიამ გამოაცხადა, რომ ვირუსი ჯერ კიდევ პრევენცირებადი და კონტროლირებადია. მათი განმარტებით, ამ დრომდე არ დაფიქსირებულა ვირუსის ერთი ადამიანიდან მეორეზე გავრცელების შემთხვევა.

თუმცა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, ახლო კონტაქტის შედეგად გამოვლინდა ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის შემთხვევები.

HTTP://REPORTIORI.GE/

ჩინეთის **ქალაქ უხანის ხელისუფლებამ მასობრივი ტურიზმი აკრძალა. ამის მიზეზად ახალი კორონავირუსის გავრცელებაა.**

ჩინეთში მასობრივი ტურიზმი აიკრძალა

ადგილობრივი მთავრობის გადაწყვეტილებით, უხანის მოქალაქეების დიდ ჯგუფებს სხვა ქალაქებსა და საზღვარგარეთ გამგზავრება აეკრძალებათ. ინფორმაციას უხანის ჯანდაცვის კომიტეტი ავრცელებს.

ამავე დროს, გამკცრდება მგზავრების ნაკადის კონტროლიც. საგანაგებო ზომები 24-საათიან რეჟიმში იმოქმედებს. პოლიცია უკვე შეუდგა ავტოტრანსპორტის შემოწმებას. აკრძალულია ფრინველისა და შინაური ცხოველების გადაყვანა.

განსაკუთრებულად არის გაძლიერებული მოქალაქეების კონტროლი ქალაქის აეროპორტებსა და სარკინიგზო სადგურებზე.

ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციით, ჩინეთის მასშტაბით ახალი კორონავირუსით ინფიცირების 224 შემთხვევაა აღრიცხული.

ჭიდაობა

„კლასიკური“ მონაგარი

საფრანგეთის ქალაქმა ნიცამ ანრი დეგლანის სახელობის 46-ე საერთაშორისო გრან-პრის უმასპინძლა, სადაც საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გაფართოებული შემადგენლობით წარსდგა.

ტურნირზე 29 „ჯვაროსანმა“ იასპარეზა, რომლებმაც 11 მედალი მოიპოვეს: 2 „ოქრო“, 4 „ვერცხლი“, 5 „ბრინჯაო“.

60 კგ: ამირან შავაძე („ვერცხლი“), ირაკლი ძიმისტარიშვილი („ბრინჯაო“);

63 კგ: ლევან ქავჟარაძე („ოქრო“), ქერიმ მაჩალიკაშვილი („ვერცხლი“);

67 კგ: რამაზ ზოიძე („ოქრო“), გიორგი შოთაძე („ვერცხლი“);

72 კგ: ნიკოლოზ ჭიკაიძე („ბრინჯაო“);

77 კგ: გელა ბოლქვაძე („ბრინჯაო“);

82 კგ: აივენგო რიკაძე („ვერცხლი“);

87 კგ: თორნიკე ძამაშვილი („ბრინჯაო“);

130 კგ: გიორგი ბარბაქაძე („ბრინჯაო“).

მანუჩარ გიორგაძე

სუმო

თანაბარი ბალანსით

ჰაცუ ბაშოს მე-10 საშეჯიბრო დღეს ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ლევან გორგაძემ. ქართველი სუმოისტი სეკივაკე ასანოიამას დაუპირისპირდა და მისი დამარცხება შიტატენაგით მოახერხა.

იაპონელთა ახალგაზრდა ვარსკვლავსა და ტოჩინოშინს შორის ძალზე დაძაბული ბრძოლა წარიმართა, თუმცა, ჩვენებურმა მეტოქეს არაფერი დაუთმო და შთამბეჭდავი ილეთით დოჰიოს მიღმა მოისროლა.

ეს აღნიშნული წყვილის მე-5 დუელი იყო და „ტოჩიმ“ ურთიერთშეხვედრებში მოგება-წაგების ბალანსი 2:3-მდე შეამცირა.

ამრიგად, ქართველ სუმოისტს წლის პირველ სუპერტურნირზე 5 მოგების საპირისპიროდ 5 მარცხი აქვს, მისი მომდევნო მეტოქე კი მე-4 მაეგაშირა ოკინეუმი იქნება, რომელსაც აქამდე 13-ჯერ შეხვდა და 8-ჯერ მოუგო, 5 შეხვედრაში კი მარცხი განიცადა.

კობა კობახიძე



კალათბურთი

„რუსთავის“ დაბრუნება

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას ხსოვნის ტურნირის გამარჯვებული საკალათბურთო კლუბი „რუსთავი“ გახდა. ანატოლი ბოისას გაწვრთნილმა გუნდმა ოლიმპიურ ჩემპიონთა მშობლიურ ქალაქ ქუთაისში გამართულ დაძაბულ, ოვერტაიმიან ფინალურ ბრძოლაში 89:86 დაამარცხა „კაკტუსი“ და მიმდინარე წლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჯილდოს დაეუფლა.

„რუსთავი“, რომელიც სოლიდური შემადგენლობის გამო სეზონის დასაწყისიდან ითვლებოდა ფავორიტად, თუმცა, ამ სტატუსს ვერ ამართლებდა, უცხოელი მწვრთნელის წასვლის შემდეგ წელში გაიმართა, შედეგები გამოაკეთა და აგერ, უკვე, პირველი ტიტულიც მოიგო. რაც მთავარი მწვრთნელის სადავეები გეორგიოს კეცელიდისისგან გადაიბარა, ანატოლი ბოისა ზედიზედ 7 მატჩია, იგებს. ამ შედეგიანი სერიის ბოლო 4 შეხვედრა მემორიალისა გახლდათ და დიდი პაუზის შემდეგ რუსთაველებმა დამსახურებული თასით გაიმდიდ-

რეს საკლუბო მონაგარი. შეგახსენებთ, რომ 2006-2010 წლებში, როცა „ენერჯი-ინვესტის“ სახელით ასპარეზობდა, რუსთავულ გუნდს ყველა ქართული ტურნირი — ჩემპიონობა, თასი, დუდუ დადიანისა და ქორქიასაკანდელიძის მემორიალები — რამდენჯერმე აქვს მოგებული.

ფინალური მატჩი რუსთაველთათვის იოლი არ გამოდგა. სუპერლიგის პირველი წრის მერე განხორციელებული ტრანსფერების შემდეგ „კაკტუსი“ მნიშვნელოვნად გაძლიერდა. უმთავრესი შენაძენი არჩილ ჟღენტის გუნდისთვის მემორიალის საუკეთესო მცველად მიჩნეული ამერიკელი უკანახაზელი მაიკ დევისი გახლავთ, რომელიც ქულების მკეთებელი მანქანაა და ამავდროულად დაცვაში და გამთამაშებლად თამაშიც შეუძლია. მისი შედეგიანობით კაკტუსელებმა 21-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრეს, შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანეს, სადაც 4 ქულით გალიდერდნენ — 84:80, მაგრამ...

„რუსთავის“ მთავარი დამსახურება ის გახლავთ, რომ მიუხედავად ასეთი სოლიდური მონაგრის განიავებისა და ოვერტაიმში ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ აღმოჩენისა, გუნდი არ გატყდა და გამარჯვებამდე მივიდა. რუსთაველებს ძირითადი დროის ამოწურვამდე გაუვარდათ ერთ-ერთი დომინანტი ილია ლონდარიძე და ამას დაუმატეთ ისიც, რომ გუნდს ტრავმების გამო ეროვნული ნაკრების 4 წევრ-კანდიდატი — მერაბ ბოქოლიშვილი, რატი ანდრონიკაშვილი, ოთო ფხაკაძე და გეგი ბაქრაძე აკლდა.

ასეთ ვითარებაში 25 ქულით თავისი ომახიანი სიტყვა სუპერლიგის მოწინავე უკანახაზელთა სიაში შარშან შესულმა საბა ლობჟანიძემ თქვა.

ტურნირის საუკეთესო ფორვარდად სწორედ იგი დასახელდა.

ვიტალი ჯაფარიძე

ჩოგბურთი

ნიკოლოზ ბასილაშვილმა ავსტრალიის ღია პორველობაზე წარმატებული სტარტი აიღო და პირველი წრე დაძლია. ქართველი ჩოგბურთელი სამხრეთკორეელ კვონ სონ ვონს დაუპირისპირდა, რომელიც ATP-ის რეიტინგში 87-ე ადგილზეა.

მიუხედავად ამისა, ნიკოლოზს მეტად მძიმე ბრძოლა გადახდა თავს და აზიელი ხუთსეტიან, მარათონულ შეხვედრაში დაამარცხა — 3:2.

თამაში 3 საათსა და 55 წუთს გაგრძელდა. პირველი პარტია ჩვენებურმა კარგად დაიწყო და 3:0-იც დაწინაურდა, შემდეგ 5:2-ს იგებდა, მაგრამ სოლიდური უპირატესობა გაფლანგა და ტაი-ბრეიკზე წააგო — 6:7. მეორე სეტში ბასილაშვილმა ვითარება გამოასწორა, თავიდანვე ორჯერ დააბრეიკა მეტოქე (ერთხელ თვითონაც წააგო თავისი მოწოდება) და ერთი ბრეიკის უპირატესობა საკმარისი გამოდგა ანგარიშის გასათანაბრებლად.

კიდევ უფრო დაძაბული გამოდგა მესამე პარტია, რომელშიც ბასილაშვილმა 7:5 იმარჯვა და წინ გასვლა შეძლო, მაგრამ აზიელი არ ნებდებოდა. შედეგად, მეოთხე სეტი უკვე კვონმა მოიგო 6:3 და წონასწორობა აღადგინა — 2:2.

გადამწყვეტ პარტიაში ბასილაშვილმა მობილიზება მოახერხა, ბრეიკი შეასრულა და უმძიმესი შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა — 6:7, 6:4, 7:5, 3:6, 6:3.

მეორე წრეში ნიკოლოზ ბასილაშვილის მეტოქე ATP-ის 51-ე ნომერი, გამოცდილი ესპანელი ფერნანდო ვერდასკო იქნება. აქამდე ისინი ორჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და თანაფარდობაა. 2018 წელს ჩინეთში ნიკოლოზმა ორ სეტში 7:6, 6:4 იმარჯვა, ხოლო შარშან შემოდგომაზე ვენაში ესპანელმა რევანში აიღო — 6:4, 2:6, 1:6. ხსენებული დაპირისპირება დღესაა დაგეგმილი.

გეჟან დოლიძე

წყალბურთი

1 გოლის ფასი



საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები ბუდაპეშტში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის მერვედფინალში რუსეთთან 13:14 დამარცხდა.

მატჩის წინ ჩვენი გუნდის წევრები ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი. მიხეილ ბაღათურიამ თქვა, რომ, მართალია, რუსეთი რეიტინგით უფრო წინაა, მაგრამ თავს შეაკლავდნენ და გამარჯვებისთვის ყველაფერს გააკეთებდნენ.

პირველი მეოთხედი რუსებმა 6:4 მოიგეს, შემდეგ უპირატესობა გაზარდეს და პირველი ტაიმი 6:9 წავაგეთ. ისინი კარგად იყენებდნენ რიცხობრივ უპირატესობას და ოსტატურად ურტყამდნენ კარში შორიდან. მესამე პერიოდის დასაწისში მეტოქე 4 ბურთით დაწინაურდა, მაგრამ ჩვენმა გუნდმა მოახერხა ჩამორჩენის შემცირება — 10:11. დასკვნით მეოთხედში მოწინააღმდეგე 3-ბურთიანი უპირატესობით გაიჭრა წინ, თუმცა, საქართველოს ნაკრებმა ანგარიშის მინიმუმამდე დაყვანა ისევ შეძლო, ბოლო შეტევა კი ვერ გამოიყენა და დრამატულ მატჩში დამარცხდა.

ასე დავკარგეთ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური.

ჩვენი გუნდიდან გოლები ცრეპულიამ (2), მაგრაქველიძემ, ბარალდიმ (3), რურუამ (2), ელაჩამ (3) და ვაპენსკიმ (2) გაიტანეს.

საქართველოს ნაკრები ტურნირზე მეცხრე-მეთორმეტე ადგილებისთვის გააგრძელებს ბრძოლას და დღეს პირველ შეხვედრას თურქეთთან ჩაატარებს.

შეგახსენებთ, რომ ჯგუფურ ეტაპზე ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა საფრანგეთს სძლია (9:7), შემდეგ კი საბერძნეთთან (10:17) და იტალიასთან (6:18) წააგო.

გიორგი ზოთაძე

ნატოს უპილოტო საფრენი აპარატები რუსეთის დასაზვერად

ნატოს გენერალური მდივანის იენს სტოლტენბერგის თქმით, ნატოს ექნება საშუალება, რუსეთის ტერიტორია უპილოტო საფრენი აპარატებით დაზვეროს.

„ეს აპარატები ნატოს სახელმწიფოების საჰაერო სივრცეში იფრენენ, თუმცა მათ აქვთ საშუალება, დაინახონ, თუ რა ხდება ჩვენს მეზობლად განლაგებული სახელმწიფოების სიღრმეში, ასევე უკეთ ვიცოდეთ, რა ხდება საზღვრის მეორე მხარეს“, — განაცხადა იენს სტოლტენბერგმა. გამოცემა წერს, რომ ახალი უპილოტო საფრენი აპარატებით, ნატო რუსეთის ტერიტორიის შიგნით, 200 კილომეტრის სიღრმეზე შეძლებს სიტუაციის დაზვერვას. „ეს შესაძლებლობა 2014 წელს რომ გვქონოდა, როდესაც რუსეთმა სამხედრო ძალა გამოიყენა უკრაინის წინააღმდეგ და მოახდინა ყირიმის ანექსირება, მაშინ ჩვენ უფრო ზუსტი ინფორმაცია გვექნებოდა მიმდინარე მოვლენების შესახებ“, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

სიცილიაზე მდებარე სამხედრო ბაზაზე უკვე დისლოცირებულია ორი დრონი „არ-ქიუ ფენიქისი“. ნატოს უპილოტო საჰაერო დაზვერვის სისტემა რამდენიმე თვეში დაიწყებს მუშაობას. სტოლტენბერგის თქმით, „ახალი სისტემა ალიანსს საშუალებას მისცემს, აკონტროლოს სიტუაცია არქტიკიდან საჰელამდე და ატლანტიკის ოკეანიდან აღმოსავლეთ ევროპამდე“.

„ეს მოგვცემს საშუალებას, ნებისმიერ მეტეოროლოგიურ პირობებში დავაფიქსიროთ და გადავცეთ მონაცემები ხმელეთსა თუ წყალში გადაადგილების შესახებ. ასევე, ამ სისტემის გამოყენებით შესაძლებელი გახდება ნაღმებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების აღმოჩენაც. სისტემის გამართულად ფუნქციონირებისთვის გამოყოფილი იქნება 600 კაცისგან შემდგარი პერსონალი“, — განაცხადა იენს სტოლტენბერგმა.

ნატო-ს მონაცემებით, „არ-ქიუ ფენიქსის“ უპილოტო საფრენი აპარატების მოქმედების რადიუსი 16 ათასი კილომეტრია. მათ შეუძლიათ, დამუხტვისა და დაჯდომის გარეშე 30 საათი იფრინონ. საფრენი აპარატების ფრენის სიმაღლე 18 ათასი მეტრია, ხოლო მაქსიმალური სიჩქარე — 575 კმ.სთ.

საქართველოდან თურქეთში უკანონოდ 5550 კუ შეჰყავდათ!



საქართველოდან **თურქეთში კუს უკანონოდ შეყვანის მცდელობა აღიკვეთა. ინფორმაციას თურქული მედიაზე დაყრდნობით აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი ავრცელებს.**

როგორც ირკვევა, თურქმა მებაჟეებმა დააკავეს აზერბაიჯანის მოქალაქე, რომელიც სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით თურქეთში 5550 წყლის კუს შეყვანას ცდილობდა. გავრცელებული ინფრომაციით, კუები ავტომობილის კარებში ჰყავდათ დამალული.

ზუგდიდში სამართალდამცველზე თავდასხმის მცდელობისთვის 1 ადამიანი დააკავეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის **პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი პირი — 1969 წელს დაბადებული გ.ქ. დააკავეს.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მას პოლიციელზე თავდასხმის მცდელობა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა ედება ბრალად.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 17 იანვარს ზუგდიდში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, სამართალდამცველების მისამართით გაისროლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა. პოლიციამ გ.ქ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში დააკავა.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

არდავიწყება

რჩეულთა შორის რჩეული

ჩვენი საამაყო სიძე სიმონ (პაკული) ღიბრაძე

სიმონის ძვირფასი მეუღლის ნანა ლობჟანიძის ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და მთელი სანათესაო ღრმა მწუხარებას გამოვხატავთ ბატონი სიმონ (პაკული) ღიბრაძის უდროოდ გარდაცვალების გამო.

სწრაფად გაირბინა 40-მა დღემ. კიდევ მრავალი წელი გაივლის და გვჯერა, რომ მის ხსოვნას ჩვენს გულებში დავიწყება არ ემუქრება. ჩვენ, ყველა, ამ ქვეყანას მოვლენილი სტუმრები ვართ. მან თავისი სიცოცხლის მანძილზე ბევრი სიკეთე, სიყვარული და სითბო დაგვიტოვა. ამიტომაც მისი კვალი ამქვეყნიურ ცხოვრებაში წარუშლელია. მისი შესანიშნავი და სიკეთით გამორჩეული ქალიშვილები — ქეთი და თიკო თავისი შვილებით ხომ მისი მარადიული ცხოვრების გაგრძელებაა. მართალია, 13 წლის წინათ სიმონის ერთადერთი ვაჟის — დათოს ტრაგიკულმა გარდაცვალებამ ყველას დიდი ტკივილი დაგვიტოვა, მაგრამ ეს იყო საშინელი ტრაგედია მისთვის, მძიმე „ჭრილობა“, რომლის მოშუშებაც ვერაფრით ვერ შეძლო და აი, სწორედ ამ მდგომარეობამ განაპირობა მისი ამქვეყნიდან ნაადრევი წასვლაც.

სიმონი იყო რჩეულთა შორის რჩეული, მას ყველაფერში თავისი ხელწერა ჰქონდა. ეს შეეხებოდა განსაკუთრებულ მზრუნველ დამოკიდებულებას ყველას — მეუღლის, შვილების, სიძეების მიმართ.

სიმონი იყო ადამიანურ ურთიერთობებში გენიალური და შეუდარებელი. იმდენად თბილი, მოსიყვარულე და ყურადღებიანი იყო ყველას მიმართ, რომ ძალიან გვიჭირს ამ ნათელ კაცზე წარსულ დროში საუბარი. მისი საოცარი თვისებების წარმოჩინება ხომ სუფრის მუდმივი თანმდევი იყო. იგი სუფრასთან ყველას ეფერებოდა, ყველასთან უყვარდა საუბარი და, რაც მთავარია, არავის არ ტოვებდა უყურადღებოდ. მისი გამორჩეული მიმართვები იყო: შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე, შენ შემოგევლე და სხვ. ამასთან, სიმონი იყო რა ქართული სუფრის ტრფიალი, თამადობაც ხშირად უწევდა, სწორედ ზემოთ მოხსენიებული მისი ხასიათისა და თვისებების გამო.

სიმონ ღიბრაძე ჩვენთვის საამაყო იყო იმითაც, რომ იგი იყო გამორჩეული, მაღალი დონის პროფესიონალი ექიმი-უროლოგი. სიმონი ყველასი, მათ შორის, თავისი პაციენტების, დიდი იმედი და გვერდში მდგომი გახლდათ.

სიმონის, როგორც დიდი პიროვნების, დიდი ბაღდათელის, ნაღდი ქუთაისელის და ნაღდი ქართველის, კაცური კაცისა და კარგი, დიდებული მამულიშვილის უდროოდ წასვლამ ამქვეყნიდან ძალიან ბევრი ადამიანი დაამწუხრა.

ჩვენ კარგად ვიცნობდით სიმონის მშობლებს, ისინი მთელ საქართველოში გამორჩეული, ცნობილი ადამიანები იყვნენ. მამამისს, დავითს ათეული წლობით ეკავა სკოლის დირექტორის საპატიო პოსტი, იყო მრავალი შესანიშნავი და ზნეობრივად მაღალი თაობების აღმზრდელი და დამკვალიანებელი.

როგორც უკვე ვთქვით, სიმონს ძალიან ატკინა გული მისი ერთადერთი ძის — დათოს ტრაგიკულად და უდროოდ წასვლამ ამ ქვეყნიდან, რამაც ყველა ჩვენგანიც დიდად დაგვამწუხრა. სიმონი ერთი წამითაც არ ივიწყებდა ამ საშინელებას... მან შეუძლებელი შეძლო, ძლიერმა ნებისყოფამ ძალა მისცა იმისა, ეფიქრა, რომ ჯერ კიდევ საჭირო იყო ოჯახისთვის, საჭირო იყო შვილებისთვის.... და მაინც, უნდა ეცოცხლა. თუმცა, მისმა დარდმა და დიდმა სურვილმა გარდაცვლილ შვილთან ერთად ყოფნისა, თავისი გაიტანა. მშვიდად, საოცრად უმტკივნეულოდ აღასრულა თავისი დიდი ხნის ოცნება — „მე ამქვეყნიურ ცხოვრებას ჩემს დათოსთან ყოფნა მირჩევნიაო“.

სიმონი არაფრით არ ეგუებოდა ავადობას და აუცილებლობის შემთხვევაში არასოდეს უარს არ ამბობდა ქართულ სუფრაზე, თუმცაღა ძველებურად მოლხენა მისთვის უკვე მიუღებელი იყო.

სიმონი ისე წავიდა საუკუნო სასუფეველში, რომ არასოდეს არავინ შეუწუხებია თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ხშირად ვეუბნებოდით, თავს გაუფრთხილდი, ის კი გვეუბნებოდა, ჩემს ვაჟკაცთან დათოსთან მინდა ყოფნაო.

ძვირფასო სიმონ, შენი ამქვეყნიური ცხოვრებიდან გასვლის მეორმოცე დღე უკვე მიიწურა, მაგრამ იცოდე, რომ ბრძენკაცის ნათქვამი „დრო ყველაფრის მკურნალიაო“ შენს შემთხვევაში არ გამოდგება, შენ შენი კაცობით ჩვენს გულებში დაისაკუთრე სამარადისო სიყვარული, სამარადისო ხსოვნა და სამარადისო მოგონება.

უფალმა ნათელში ამყოფოს სიმონის სული.

რუსთავში მამა-შვილის გარდაცვალების მიზეზი, სავარაუდოდ, წყლის გამაცხელებელი გახდა

რუსთავში **ორი მამაკაცის გარდაცვალების მიზეზი, სავარაუდოდ, წყლის გამაცხელებელი გახდა და ისინი ბუნებრივი აირის ნამწვით დაიღუპნენ.**

როგორც საქართველოს პირველი არხის ჟურნალისტი ადგილიდან იუწყებოდა, გარდაცვლილი მამა-შვილი დილით სახლში მისულმა ოჯახის წევრმა ერთი — საბაზანოში, მეორე კი მისაღებ ოთახში იპოვა. ადგილზე პოლიცია და „სოკარ გაზის“ წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

რუსეთში ხანძრის შედეგად უზბეკეთის 10 მოქალაქე დაიღუპა

ინფორმაციას **რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამსახური ავრცელებს. ხანძრის შედეგად ასევე დაიღუპა რუსეთის ერთი მოქალაქეც.**

ინციდენტი ჩინური კომპანიის მიერ დაქირავებულ შენობაში გაჩნდა, სადაც ადამიანები ცხოვრობდნენ. რუსული მედიის ცნობით, ხის შენობაში, რომელსაც ცეცხლი გაუჩნდა, 14 ადამიანი იმყოფებოდა. მათგან 11 დაიღუპა, ორი დაშავდა, ერთი კი დაკარგულად ითვლება.

მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება.

საქართველო ვენაში გამართულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე

2020 წლის 16-19 იანვარს ვენაში გაიმართა საერთაშორისო ტურისტული გამოფენა Ferien-Messe Wien, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ქუთაისის ტურიზმის ცენტრი და 10-მდე ქართული ტურისტული კომპანია. ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„გამოფენის ფარგლებში, ევროპის პავილიონში მოეწყო საქართველოს სპეციალური სტენდი, სადაც დამთვალიერებლებს საშუალება ჰქონდათ, გასცნობოდნენ საქართველოს ტურისტულ შესაძლებლობებს და მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია ქვეყნის ძირითადი ტურისტული მიმართულებების შესახებ.

გამოფენის ფარგლებში აგრეთვე გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, დაეგემოვნებინათ ტრადიციული ქართული მეთოდით დაყენებული ქვევრის ღვინოები. საქართველოს სტენდზე სტუმრობისას, სტუმრებს მიესალმა ავსტრიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დავით დონდუა და მათ გამოფენაში მონაწილე ქართული კომპანიები წარუდგინა.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი გამოფენა ვენაში ყოველწლიურად იმართება და მასში 80-მდე ქვეყანა და 800-მდე კომპანია მონაწილეობს. გამოფენა, რომელსაც ყოველწლიურად ასიათასამდე დამთვალიერებელი სტუმრობს, მიზნად ისახავს ქვეყნების ტურისტული პოტენციალის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და მათი ტურისტული მიმართულებების პოპულარიზაციას“, — ნათქვამია ინფორმაციაში.

მადონა კონცერტებს აუქმებს

ამერიკელმა მომღერალმა მადონამ მსოფლიო ტურნე Madame X-ის ფარგლებში კიდევ ერთი კონცერტი გააუქმა.

კონცერტი ლისაბონში უნდა გამართულიყო, მისი გაუქმების შესახებ კი წარმოდგენის დაწყებამდე 45 წუთით ადრე გახდა ცნობილი.

„სამწუხაროდ, გაცნობებთ, რომ მადონა დღეს საღამოს გამოსვლას ვერ შეძლებს“ — წერია განცხადებაში, რომელიც ბილეთის მფლობელებმა მიიღეს.

„ძალიან სამწუხაროა, რომ იძულებული ვარ, დღეს საღამოს კონცერტი უნდა გავაუქმო, თუმცა ჩემს სხეულს უნდა მოვუსმინო და დავისვენო“ — დაწერა 61 წლის მომღერალმა Instagram-ზე. ეს უკვე მერვე კონცერტია, რომელიც საგასტროლო ტურნეს ფარგლებში მადონამ გააუქმა. მიმდინარე ტურნე მომღერლის მე-14 სტუდიურ ალბომს ეძღვნება.

ახალი ფილმი დიკაპრიოსა და დე ნიროს მონაწილეობით

ჰოლივუდის ვარსკვლავებს ლეონარდო დიკაპრიოს და რობერტ დე ნიროს მარტინ სკორსეზე ახალ ფილმში „მთვარის ყვავილის მკვლელებში“ გადაიღებს. ამის შესახებ ლეონარდო დიკაპრომ აშშ-ის კინომსახიობთა გილდიის (Screen Actors Guild Award) პრემიის მიღების დროს განაცხადა. ღონისძიების ტრანსლაცია ტელეარხ TBS-ზე განხორციელდა.

„მთვარის ყვავილის მკვლელებს“ სკორსეზე ამერიკელი ჟურნალისტის დევიდ გრანის მიერ 2017 წელს გამოცემული წიგნ-ბესტსელერის მიხედვით გადაიღებს. მოვლენები ვითარდება 1920 წელს, როცა ოკლაჰომას შტატში აღმოაჩინეს ნავთობი და ინდიელები დახოცეს. ფილმის გადაღება 2020 წლის მარტში დაიწყება.

მანამდე დიკაპრიომ და დე ნირომ რეჟისორ მაიკლ კეიტონ-ჯონსის დრამაში „ამ ბიჭის ცხოვრება“ (This Boy's Life) 1993 წელს ითამაშეს.

ლეგენდარული ანსამბლის პატივსაცემად

დიდი ბრიტანეთის სამეფო ზარაფხანა ლეგენდარული როკჯგუფის Queen-ის პატივსაცემად მონეტა გამოუშვა. როგორც იუწყებიან, ეს არის პირველი მონეტა საკოლექციო სერიიდან, რომლის გამოშვებასაც სამეფო ზარაფხანა Queen-ისადმი პატივისცემის ნიშნად გეგმავს.

მონეტაზე გამოსახულია როკჯგუფის ლოგო და მისი წევრების მუსიკალური ინტრუმენტები — ბრაიან მეის ელექტროგიტარა, როჯერ ტეილორის დასარტყამი ინსტრუმენტი, ჯონ დიკონის ბასგიტარა და ფრედი მერკურის მიკროფონი.

„პირველად ისტორიაში, ჩვენ გვაქვს ორი დედოფლის მონეტა, იგულისხმება დედოფალი ელისაბედ II და ჯგუფი Queen-ი, რომელიც ქართულად ითარგმნება, როგორც დედოფალი“, - განაცხადა სამეფო ზარაფხანის წარმომადგენელმა.

ახალგამოშვებული მონეტები სამი სხვადასხვა სახით არის წარმოდგენილი — ოქროს, ვერცხლისა და ჩვეულებრივი მეტალის. მონეტების ღირებულება 13-დან 2220 ფუნტ სტერლინგამდე მერყეობს. ბრიტანეთის სამეფო ზარაფხანა მნიშვნელოვანი მოვლენების პატივსაცემად სხვადასხვა სახის მონეტებს ჭრის.

6 წლის ბიჭის ბიზნესი

ალბათ, ყველას ახსოვს ავსტრალიაში ტყის ხანძრისგან გადარჩენილი კოალა სახელად ლუისი, რომელიც ტონი დოერტიმ ცეცხლიდან გამოიყვანა. ეს ისტორია სევდიანად დამთავრდა და ლუისი მიღებული დამწვრობებისგან მოკვდა. თუმცა კოალას ისტორიამ ძალიან იმოქმედა 6 წლის უენი კოლიზე, რომელიც მასაჩუსეტსის შტატში ცხოვრობს.

უენმა და მისმა მშობლებმა, რომლებიც გარკვეული პერიოდი ავსტრალიაში ცხოვრობდნენ (მამა სულაც სიდნეიში გაიზარდა), ტყის ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში კამპანია დაიწყეს. ბიჭმა და მისმა დედ-მამამ თიხისგან კოალას დასაწებებელი ფიგურების კეთება და მეგობრებ-ნათესავებში დონაციის სანაცვლოდ გაყიდვა დაიწყეს, მიღებული ფულის გაგზავნას კი სამხრეთ უელსში იმ მაშველებისთვის გეგმავდნენ, რომლებიც ცხოველების გადარჩენას ცდილობენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!
„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8770; ევრო - 3.1892;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7369;
100 რუბლი - 4.6737; თურქული ლირა - 0.4878;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6943;
1000 სომხური დრამი - 5.9969.

ამინდი 22 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-3,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+5
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+7
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+5
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+7

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge